წელსმიღებულისაქართველოსკანონისსახელმწიფოსაიდუმლოებისშესახებ. კანონისმიხედვითგანსაზღვრულიასაიდუმლოებისსამიკატეგორია: “განსაკუთრებულიმნიშვნელობის” – 20 წლით, “სრულიადსაიდუმლო” – 10 წლით, “საიდუმლო” – 5 წლით. ინფორმაციაუნდაიყოსგანსაიდუმლოებულიმითითებულვადაში, მხოლოდპრეზიდენტსშეუძლიაინფორმაციისგასაიდუმლოებისვადის გახანგრძლივება. ინფორმაციაასევეშეიძლებაიქნასვადაზეადრეგანსაიდუმლოებული, იმშემთხვევაში, თუამსაკითხებზემომუშავესახელმწიფოინსპექციაჩათვისამასსაჭიროდ. იმინფორმაციისზოგადიჩამონათვალი, რომელიცსახელმწიფოსაიდუმლოებადშეიძლებაიქნესმიჩნეული, მუხლშიამოცემული. კანონისმე-7

საქართველოსკანონისსახელმწიფოსაიდუმლოებისშესახებ

The screenshot shows a web browser window with the URL http://www.opendata.ge/#/cat/georgian_legal_acts/lang/ka. The page content is in Georgian and lists several legal acts:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი** (04:41 PM - 20 November 2010): საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მიღებული იქნა 1999 წლის 25 ივნისს. მასში ადმინისტრაციული აქტის, მისი გამოცემის, არსრულებისა და გასაჩივრების, ადმინისტრაციული წარმოების, ადმინისტრაციული გარიგების, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები და სისტემა ჩამოყალიბებული. ამავე დროს ინფორმაციის თავისუფლების კუთხით კოდექსი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შეტანილი მასში ყველაზე ვრცლად და დეტალურად არის მოცემული. კოდექსის შესამე თავი ეძღვნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს. კოდექსის მიხედვით საჯარო ინფორმაცია უნდა იყოს ღიადა მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, მისი მოქალაქეობის მიუხედავად. ინფორმაციის გამოთხოვნისთვის წერილობითი პროცედურაა დადგენილი, ხოლო საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ამ ინფორმაციის
[იხილეთ სრულად](#)
- საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლს შესახებ** (04:32 PM - 20 November 2010): 05:55 PM - 18 November 2010 საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლს შესახებ კანონი ადგენს „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობასა და მისი გადახდის წესს, საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ
[იხილეთ სრულად](#)
- საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ** (12:13 PM - 19 November 2010): სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ. კანონისმიხედვითგანსაზღვრულიასაიდუმლოებისსამიკატეგორია: “განსაკუთრებულიმნიშვნელობის” – 20 წლით, “სრულიადსაიდუმლო” – 10 წლით, “საიდუმლო” – 5 წლით. ინფორმაცია უნდა იყოს განსაიდუმლოებული მითითებულ ვადაში, მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადის გახანგრძლივება. ინფორმაცია ასევე შეიძლება იქნას ვადაზე ადრე განსაიდუმლოებული, იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ინსპექცია ჩათვლის ამას საჭიროდ. იმ ინფორმაციის ზოგადი

პრაქტიკული დავალებები

დავალება №1

- 1) მოძებნეთ კანონი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ;
- 2) გადმოწერეთ ძირითად ტერმინთა განმარტებები;
- 3) მოძებნეთ შსს-ი ბრძანება №100
- 4) მოძებნეთ კანონები, რომელთა ტექსტში არის სიტყვები "ინფორმაცია" და "ტელეკომუნიკაცია".
- 5) მოძებნეთ კანონები, რომელთა ტექსტში არის სიტყვათა წყობა "კომპიუტერული პროგრამები"

დავალება №2

1. შექმენით დოკუმენტების სია თემაზე: სამოქალაქო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრება-საავტორო უფლება
2. შექმენით საქალაქო და შეიტანეთ დოკუმენტები მასში
3. წაშალეთ ერთ დოკუმენტი საქალაქო დონიდან
4. ამოირჩიეთ რამოდენიმე დოკუმენტი სიიდან და შეიტანეთ ფაილში
5. გამოყავით ერთი დოკუმენტი და შეიტანეთ ახალ საქალაქო დონეზე "საავტორო უფლება"
6. შექმენით საქალაქო "საპატენტო კანონმდებლობა" და შეიტანეთ მასში საქართველოს კანონი საპატენტო კანონმდებლობის შესახებ.

დავალება №3

1. შექმენით საქალაქო "საინფორმაციო კანონმდებლობა" და შეიტანეთ მასში კანონი "ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის" შესახებ.
2. გამოიტანეთ დოკუმენტის ტექსტი.
3. მოძებნეთ ინფორმაციის განმარტება. გააკეთეთ სანიშნი "ინფორმაციის განსაზღვრება"
4. გააკეთეთ კიდევ რამოდენიმე სანიშნი.
5. გადადით პირველ, ბოლო სანიშნზე
6. გადაარქვით სახელი სანიშნს, წაშალეთ სანიშნები

დავალება №4

1. შექმენით ვორდის დოკუმენტი სახელით "ტერმინოლოგია", რომელიც შეიცავს შემდეგ ცნებებს: "ინფორმაცია, დოკუმენტური ინფორმაცია, კომპიუტერული პროგრამა, დოკუმენტი, დოკუმენტის აუცილებელი ეგზემპლარი, უსაფრთხოება, საარქივო დოკუმენტი, სახელმწიფო საიდუმლო" და სხვა.
2. გააკეთეთ სანიშნები თითოეულ განმარტებაზე

3. შექმენით საქალაქო "საინფორმაციო სამართალი", რომელშიც შეიტანეთ კანონები განმარტებულია მოცემული ცნებები.

დავალება №5.

1. მოძებნეთ და დაათვალიერეთ მსოფლიო და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ბაზის საიტები.

2.5 რუსულისამართლებრივისაცნობაროსისტემები

1990-ან წლებში, როდესაც იცვლებოდა საკანონმდებლო ბაზა და გაჩნდა მრავალი ახალი კანონი, მწვავედ დადგა სამართლებრივ ინფორმაციასთან ორგანიზაციებისა და მოქალაქეების დაშვების საკითხი. იმ დროისათვის სამართლებრივი ინფორმაცია გაბნეული იყო სხვადასხვა უწყებებში, ქვეყნდებოდა ნაწილობრივ სხვადასხვა წყაროებში. სწორედ მაშინ გაჩნდა კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე სამართლებრივი მონაცემთა ბაზის შექმნის იდეა, რომელიც დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვისა და ტექსტებთან მუშაობის საშუალებას მოგვცემდა. პირველმა მსგავს პროექტებთან მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ "გამოთვლითი მათემატიკა და ინფორმატიკა (НПО «ВМИ»)", რომელიც 1989 წელს შეიქმნა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის თანამშრომლებისა და კურსდამთავრებულების მიერ. 1990 წელს სერიოზული ძალისხმევა მიმართული იყო საინფორმაციო - სერვისული პროგრამების კომპლექსების შესაქმნელად, რომლის შედეგადაც შეიქმნა სამართლებრივი საცნობარო სისტემა "გარანტი (Гарант)". შემდეგ 1992 წლის იანვარში დაიწყო მუშაობა სისტემაზე "КонсультантПлюс", რომლის სერიული წარმოება და გავრცელება დაიწყო 5 თვის შემდეგ.

სამუშაოები სამართლებრივი საცნობარო სისტემის შესაქმნელად წარმოებდა სანკვეტერბურგშიც. 1991 წლის დეკემბერში სახელმწიფო საწარმომ "კომპიუტერული დამუშავებების ცენტრი (Центр компьютерных разработок) გამოუშვა სამართლებრივი საცნობარო სისტემა "კოდექსი" (Кодекс), რომელიც წარმოადგენდა პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ერთობლიობას. სწორედ ეს სამი კომპანია — «КонсультантПлюс», «Гарант» და «Кодекс» წარმოადგენს რუსეთში სამართლებრივი საცნობარო სისტემების ბაზარზე მთავარ მოთამაშეს.

ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთში გაჩნდა სამართლებრივი საცნობარო სისტემების დამმუშავებელი მრავალი მცირე კომპანიები, მათ შორის სპეციალიზირებული ფირმები, რომლებიც ქმნიან განახლებულ სამართლებრივ მონაცემთა ბაზებს ("რეფერენტი", ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი "იურისტი", აგრეთვე საკანონმდებლო ინფორმაციის დისკების ("თქვენი უფლებები") გამავრცელებელი კომპანიები და სხვა. გარდა ამისა ბაზრის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შექმნილი სისტემები სახელმწიფო უწყებების სამართლებრივი ინფორმაციული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად - მაგ. სისტემა "ეტალონი" დამუშავებული რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ინფორმაციის სამეცნიერო ცენტრის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული სამართლებრივი სისტემების ბაზარი ერთერთი იმ მრავალთაგანი ტექნოლოგიების ბაზარია რუსეთში, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ სამამულო პროდუქტები. თავისი ტექნოლოგიური მახასიათებლებითა და ინფორმაციის მოცულობით რუსული სისტემები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ ზოგიერთი მაჩვენებლებით უსწრებენ საზღვარგარეთულ ანალოგიურ სისტემებს.

სამართლებრივი საცნობარო სისტემა "КонсультантПлюс" ელექტრონული ვერსიის საიტი მოცემულია სურათზე.



სამართლებრივი საცნობარო სისტემა "КонсультантПлюс" სამართლებრივი ინფორმაციის ფართო სპექტრს მოიცავს (1 მლ. 600 ათასი დოკუმენტი). დოკუმენტების ეს მასივი მოიცავს:

სისტემაში არსებული ყველა ინფორმაცია უტყუარი და საიმედოა: ნორმატიული აქტები შემოდიან ოფიციალური ორგანოებიდან (ცენტრალური და რეგიონალური ორგანოების ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები) საინფორმაციო თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. გარდა ამისა მოწესრიგებულია მჭიდრო კავშირები უშუალოდ ფინანს სამინისტროს სპეციალისტებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე დამოუკიდებელ პროფესიონალ ექსპერტებთან, რომლებიც სპეციალურად საცნობარო სისტემისთვის ამზადებენ ავტორისეულ კომენტარებს, განმარტებებს და სტატიებს აქტუალურ თემებზე.

საინფორმაციო საცნობარო სისტემის "КонсультантПлюс" ავტორები სისტემის მთავარ უპირატესობად მიიჩნევენ დოკუმენტების მარტივ მოძებნას. ყველა დოკუმენტი სისტემაში ქმნიან მკაფიო სტრუქტურის მთლიან საინფორმაციო მასივს. დოკუმენტები საინფორმაციო ბანკში შეტანილია თემატურ განყოფილებებში ("კანონმდებლობა", "სასამართლო პრაქტიკა" და სხვა). სისტემაში რეალიზებულია ერთიან საინფორმაციო მასივში გამჭოლი ძებნა (გამოიყენება

ძებნის საერთო ველი, მაგ. თემატიკა, თარიღი, დოკუმენტის ნომერი და სხვა) და განყოფილებებში ლოკალური ძებნა (ძებნის სპეციალური ველები). სისტემის ძებნის ბარათი საშუალებას იძლევა მოიძებნოს ინფორმაცია დოკუმენტის რეკვიზიტების მიხედვით (დოკუმენტის სახე, მიმღები ორგანო, მიღების თარიღი, დოკუმენტის ნომერი, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი, დოკუმენტის დასახელება). ძებნა შეიძლება აგრეთვე თემატიკის მიხედვით, ნებისმიერი სიტყვისა და სიტყვათა ნაკრების მიხედვით. მომხმარებელს საჭირო ძირითადი დოკუმენტების სწრაფ მოძებნაში ეხმარება სამართლებრივი ნავიგატორი - ინტელექტუალური ძებნის საშუალება. სამართლებრივი ნავიგატორი (გზამკვლევი) შედგება ორი სვეტისაგან: მარჯვენაში განთავსებულია საკვანძო ცნებები, მარცხენაში ჯგუფები, რომლებიც აერთიანებენ მსგავს საკვანძო ცნებებს. მომხმარებელი მონიშნავს აუცილებელ ცნებებს და სისტემა აყალიბებს ამ საკითხის ირგვლივ დოკუმენტების სიას. სამართლებრივი ნავიგატორი ეფექტურად ავსებს ძებნის ბარათის შესაძლებლობებს.

გამოვყოთ საცნობარო სისტემის КонсультантПлюс სამართლებრივ ინფორმაციასთან მუშაობის ძირითადი შესაძლებლობები:

1. სისტემა შეიცავს ჰიპერტექსტს. ნორმატიულ სამართლებრივ ინფორმაციასთან მუშაობის მთავარი თავისებურება მდგომარეობს დოკუმენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირების გათვალისწინებასა დამათში ცვლილებების თვალის მიდევნებაში. მათი ამოცანების შედარებით წარმატებული გადაწყვეტა - ერთი დოკუმენტის ტექსტიდან მეორეში გადასვლა ჯვარედინი გადასვლის სისტემის (ჰიპერტექსტი) გამოყენება. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თითოეული დოკუმენტისათვის ინფორმაციული ბანკიდან პირდაპირი (უკუ) მიმართვების სიის მიღების შესაძლებლობას და სიიდან არჩეული დოკუმენტის ტექსტში გადასვლას. პირდაპირი მიმართვის (რესპოდენტი) დოკუმენტი - ეს ის დოკუმენტებია, რომლებიც მოქმედებს დასათვალისწინებელი დოკუმენტი. უკუმიმართის დოკუმენტი (კორესპოდენტი) - ეს ის დოკუმენტებია, რომლებიც მოქმედებენ დასათვალისწინებელ დოკუმენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ კორესპონდენტების (რესპოდენტების) სიებში ყველა მიმართვები მკაფიოდაა კლასიფიცირებული 17 ტიპის მიხედვით, მოწესრიგებულია მნიშვნელობისა და დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების ქრონოლოგიის მიხედვით. სისტემაში შემოტანილია ახალიმრავალდონიანი რუბრიკატორი, რომელიც დაფუძნებულია კანონმდებლობის დარგების საერთო სამართლებრივ კლასიფიკატორზე. სპეციალურად რუბრიკატორისთვის დიდი რაოდენობის რუბრიკებითა და ჩაღრმავების დონეებით დამუშავებულია ასახვის აუცილებელი საშუალებები. ისინი საშუალებას იძლევიან ერთის მხრივ გამოვიყენოთ რუბრიკატორის ხისმაგვარი სტრუქტურის უპირატესობები და მეორეს მხრივ, ჩამოვყალიბოთ რთული საძიებო მოთხოვნები, რომლებიც აერთიანებს ნებისმიერი რაოდენობის რუბრიკებს სხვადასხვა ლოგიკური პირობებით, მათ შორის მაღალი დონისაგ. მომხმარებელს შეუძლია შეინახოს ფორმირებული დოკუმენტების ნაკრები, მაგალითად რაიმე თემატიკის მიხედვით, აგრეთვე მოახდინოს მათი გაერთიანებაან გადაკვეთა. ამით

- შსაძლებელი ხდება მომხმარებლების კოლექტიური მუშაობა ერთი და იგივე პრობლემებზე. ფაქტიურად მათ აქვთ ერთმანეთის შრომის შედეგთან შედარების საშუალება.
2. ფუნქცია "დოკუმენტები კონტროლზე" უზრუნველყოფს ცვლილებების ავტომატურ კონტროლს მომხმარებლისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტებში განყოფილებიდან "კანონმდებლობა" და "კანონპროექტები". მომხმარებელი მნიშვნელოვან დოკუმენტება აყენებს კონტროლზე და რაიმე ცვლილებების გამოჩენისას სისტემა ატყობინებს ამის შესახებ მომხმარებელს. მომხმარებლის მიერ შერჩეული დოკუმენტები თავსდება სისტემურ საქაღალდეში "დოკუმენტები კონტროლზე", ხოლო შეცვლილი დოკუმენტების ასლები საქაღალდეში "ბოლო ცვლილებები დოკუმენტებში კონტროლზე". აღნიშნული საქაღალდის გახსნისას მომხმარებელი ნახავს თუ რომელ დოკუმენტებში მოხდა ცვლილება.
 3. არსებობს დოკუმენტის სწრაფი შესწავლის საშუალება. პირველ რიგში ეს თითოეულ დოკუმენტისათვის იერარქიული დასათაურებაა, საიდანაც შესაძლებელია სწრაფი გადასვლა ტექსტის შესაბამის ფრაგმენტზე და პირიქით. არსებობს ყველა სახეცვლილი დოკუმენტების რედაქციის რეპროსპექტივა, რომლის წყალობითაც მომხმარებელი ფლობს სრულ ინფორმაციას დროის ნებისმიერ მომენტში კანონმდებლობის მდგომარეობაზე. მიმართვების მეფხური საჭირო რედაქციის დოკუმენტის ამორჩევისას ავტორის მასალების ტექსტიდან და სასამართლო გადაწყვეტილებებიდან მასზე გადასვლისას საშუალებას იძლევა. მომხმარებელი განსაზღვრავს თუ რომელ რედაქციაზე მიმართოს - მოქმედზე თუ იმაზე, რომელიც ძალაში იყო კონსულტაციის მომზადებისას ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. დოკუმენტის ტექსტში შესაძლებელია კომენტარების შეტანა, რაც აღსაქმელად ანალიზურ საქმიანობას უფრო თვალსაჩინოსა და მოხერხებულს ქმნის. ტექსტში მომხმარებლის კომენტარები სისტემაში ინახება, მათ შორის ტექსტის გადატანისას MSWord-ში და დოკუმენტების ბეჭდვისას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ეკრანზე მათი დათვალიერების შესაძლებლობის გამორთვა.
 4. სპეციალისტებს დოკუმენტების შესწავლისას ხშირად უჩნდებათ დამატებითი ინფორმაციის მიღების მოთხოვნილება - მაგ. ექსპერტების კონსულტაციები ბუღალტრულ აღრიცხვასა და გადასახადების დაკისრებასთან, იურისტების კომენტარები, სასამართლო პრაქტიკის და პრესის კომენტარები. სისტემის საშუალებით მსგავსი ცნობები სწრაფად შეიძლება მიიღოს დოკუმენტის ველებში მოთავსებულ სპეციალური ნიშნებზე მიმართვით. ხოლო შესასწავლ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინსტრუმენტების პანელზე არსებული სპეციალური ღილაკით "Link". მომხმარებლისათვის მოხერხებული გარემოს შესაქმნელად დოკუმენტების ტექსტი შეიცავს შენიშვნებს მნიშვნელოვანი ინფორმაციით დოკუმენტის ან მისი ცალკეული ნაწილების გამოყენების შესახებ. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს სისტემიდან მუშაობის პროცესში შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი ან მისი ფრაგმენტი მისთვის ჩვეულ MicrosoftWord-ის ფორმატში, აგრეთვე მარტივად მოამზადოს ხელშეკრულებები სისტემიდან აღებული ტექსტის საფუძველზე.

5. სისტემა იძლევა მუშაობის ფართო შესაძლებლობებს საქაღალდეებთან, რომელიც შეიცავს მომხმარებლისათვის საინტერესო დოკუმენტების ჯგუფს და სანიშნებთან (bookmark), რომლითაც მონიშნულია დოკუმენტის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები. ერთ საქაღალდეში შეიძლება შეინახოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია - ნორმატიული დოკუმენტები, კომენტარები, საქმიანი ქაღალდების ფორმები და სხვა, ხოლო სანიშნებით დაფიქსირდეს ტექსტის ფრაგმენტებთან თქვენი კომენტარები. გათვალისწინებულია კოლეგებთან საქაღალდეების და სანიშნების გაცვლის (იმპორტი/ექსპორტი) შესაძლებლობა. სისტემის ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი დოკუმენტების მომზადებისას გათვალისწინებულია ტექსტის ფრაგმენტების გამოყოფის, კოპირების და ვორდის დოკუმენტში გადატანის სპეციალური ინსტრუმენტები.
6. სისტემაში ყზრუნველყოფილია სწრაფი და მოხერხებული შედწევა საცნობარო ინფორმაციასთან (ვალუტის კურსი, საგადასახადო განაკვეთი, კალენდარი და სხვა) და საკანონმდებლო სიახლეები, რომელიც საშუალებას იძლევა ნორმატიული ბაზის ბოლო ცვლილებისა და ახალი დოკუმენტების გამოსვლის საქმი კურსში იყოთ.

სისტემა **КонсультантПлюс** დამუშავებულია პროფესიული პროგრამირების საშუალების **Microsoft Visual C++** გარემოში **Microsoft Foundation Classes** ბიბლიოთეკის გამოყენებით. ეს პროგრამული ყზრუნველყოფა ფაქტობრივად წარმოადგენს სტანდარტს რთული სისტემების დასამუშავებლად და იძლევა პროგრამული პლატფორმის გამოყენების ფართო შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატულად, რამდენიმე წუთში ინფორმაციის განახლებას სისტემაში, მონაცემთა ბაზასთან ყველა ოპერაციების მაღალ სისწრაფეს, როგორც დოკუმენტების მოძებნისას ისე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტების სიის შედგენისას, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სერვისულ შესაძლებლობებს და გამართვის საშუალებებს.

სისტემის ყველა მომხმარებელი მუდმივად იღებს სერვისულ მომსახურებას, სისტემასთან მუშაობის შესწავლას, პროგრამის განახლებული ვერსიის მიღებას, დოკუმენტების მოძებნა ინდივიდუალური შეკვეთით და სხვა.

მთელი სამართლებრივი ინფორმაციის გავრცელების ქსელი **КонсультантПлюс** - უმსხვილესი სერვისული ქსელია, რომელიც მუშაობს სამამულო სამართლებრივი-საინფორმაციო მომსახურების ბაზარზე. ამჟამად იგი მოიცავს 300 რეგიონულ ინფორმაციულ ცენტრს, რომლებიც განლაგებულია მსხვილ ქალაქებში და 400-ზე მეტ სერვისულ განყოფილებას დასახლებულ პუნქტებში.

თავი 3. გამოძიების კომპიუტერიზაცია

3.1 სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების კომპიუტერიზაცია

სამართლებრივ ინფორმატიკაში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი მიმართულება, რომლის მიზანია კომპიუტერის გამოყენება გამოძიების სფეროში. მეცნიერულ კრიმინალისტიკაში

დამკვიდრდა ტერმინი "გამოძიების კომპიუტერიზაცია" . გამოძიების სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. საინფორმაციო-სადიებო სისტემების და მონაცემთა ბანკების ავტომატიზაცია;
2. დამაშაულთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის ავტომატიზირებული სისტემების შექმნა;
3. გამომძიებლის საქმიანობის დაგეგმვისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნა;
4. სხვა მიმართულებები.

კომპიუტერი საშუალებას იძლევა:

- გაიზარდოს მეთოდური ინფორმაციის მოცულობა;
 - კონკრეტულ საქმეზე აუცილებელი რეკომენდაციების ძებნის გამარტივება, მეთოდური რეკომენდაციების მიღება მონიტორზე სხვადასხვა ფორმებში (ცხრილები, სქემები, სიები და სხვა);
 - მტკიცებულებების სრული გამოყენების დემონსტრაცია;
- მრავალეპიზოდურ საქმეში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება იძლევა

შემდეგი ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას:

- გამომძიებლების პერსონალური შემადგენლობის აღრიცხვა;
- დანაშაულის ეპიზოდების მონაცემების ფორმირება;
- მონაცემების დაჯგუფება ყველა პირზე, რომლებიც ფიგურირებენ გამოძიების მასალებში
- თითოეულ ექვმიტანილზე (დამნაშავეზე) ინფორმაციის დაგროვება;
- დაკავებული პირების თვისებების, ნიშნებისა და
- დაკავების ვადებისა და დაკავებაში ყოფნის ვადების კონტროლი;
- მონაცემების მომზადება საბრალდებო დასკვნისათვის;
- ცნობებისა და სხვა ანგარიშგების დოკუმენტების შედგენა.

როგორც ავღნიშნეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროში (შსმ) დიდი ყურადღება ეთმობა ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას. ამ იდეის საფუძველში დევს ავტომატიზირებული საინფორმაციო-სადიებო სისტემების გამოყენება, სხვადასხვა მონაცემთა ბანკიდან ინფორმაციის ოპერატიულად მისაღებად. შსმ - ს მთავარი საინფორმაციო ცენტრი ამ პროცესებში გამოდის კოორდინატორის როლში.

შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლებისათვის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებული სამძებრო და კრიმინალისტური ანგარიშები ხელმისაწვდომია მთელი რიგი ავტომატიზირებული ინფორმაციულ-სადიებო სისტემების (აისს) საშუალებით.

კერძოდ ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემები განკუთვნილია მაგალითად:

- იარაღებზე და პატრონებზე დამღების შესახებ ინფორმაციის შესანახად და მოსამძებნად. სისტემა საშუალებას იძლევა შევიტანოთ დამღების მონაცემები, შევცვალოთ ადრე შეტანილი ინფორმაცია, განვახორციელოთ დამღების ძებნა მოცემული პირობების

მიხედვით, ასევე შევინახოთ და გამოვიტანოთ ეკრანზე დამდის გრაფიკული გამოსახულება.

- შევიტანოთ იარაღის შესახებ მონაცემები, შევცვალოთ, მოვძებნოთ მოცემული პირობებით, აგრეთვე შევინახოთ და გამოვიტანოთ ეკრანზე და საბეჭდზე მახასიათებლები, იარაღის და ანაბეჭდების დეტალების გრაფიკული გამოსახულებები.
- საბრძოლო, სპორტულ და სანადირო გადაჭრილ იარაღზე ინფორმაციის შესანახად და მოსაძებნად. სისტემა საშუალებას იძლევა შევიტანოთ მონაცემები მასრებზე, შევცვალოთ ადრე შეტანილი ინფორმაცია, განვახორციელოთ ძებნა მოცემული პირობების მიხედვით, ასევე შევინახოთ და გამოვიტანოთ ეკრანზე მასრის გრაფიკული გამოსახულება და მახასიათებლები.
- სპორტულ და სანადირო იარაღზე ინფორმაციის შესანახად და მოსაძებნად. სისტემა საშუალებას იძლევა შევიტანოთ მონაცემები იარაღზე, შევცვალოთ ადრე შეტანილი ინფორმაცია, განვახორციელოთ ძებნა მოცემული პირობების მიხედვით, ასევე შევინახოთ და გამოვიტანოთ ეკრანზე იარაღზე და კვალწარმოქმნელ დეტალებზე გრაფიკული გამოსახულება.
- განკუთვნილია ცივ იარაღზე ექსპერტული დასკვნების გენერაციისათვის. სისტემა დასკვნის შექმნისათვის საჭირო მონაცემების შეტანის, საექსპერტიზო იარაღის ანალოგის შერჩევის, დასკვნის გენერაციის, რედაქტირების და ბეჭდვის საშუალებას იძლევა, ამასთან ლაზერულ პრინტერზე ბეჭდვისას შესაძლებელია ანალოგის გამოსახულების დაბეჭდვა დასკვნაში. პროგრამა აგრეთვე ცივი იარაღის შემცველ საინფორმაციო-საცნობარო სისტემასთან მუშაობის საშუალებას იძლევა, რომელიც ექსპერტული დასკვნების გენერატორის შემადგენელი ნაწილია.
- ბოლო დროს დამუშავებულია და ექსპლოატაციაა მახასიათებლების კლასიფიკაცია;
- გამოძიების პროცესში მიღებული მტკიცებულებების სისტემატიზაცია ეპიზოდების მიხედვით;

ექსპლოატაციაში შევიდა შემდეგი ავტომატიზირებული ინფორმაციულ-საძიებო სისტემები:

- ავტომატიზირებული ინფორმაციულ საძიებო სისტემა (აისს) ” Оpozнание ” უზრუნველყოფს უკვალოდ დაკარგულ, ამოუცნობ გვამებზე, უცნობ ავადმყოფებსა და ბავშვებზე ინფორმაციის გაცემას რუსეთის და სნგ-ს მოქალაქეებსა და მოქალაქეობია არ მქონე პირებზე;
- აისს “ФР-Оповещение” უზრუნველყოფს: საწარმოების და ორგანიზაციების საჩივრების მიხედვით დამნაშავეების, ალიმენტების არ გადამხდელი, უკვალოდ დაკარგულების აღრიცხვას; ამუშავებს მოთხოვნებს ძებნაში გამოცხადებულ პირებზე, აგრეთვე ამზადებს განცხადებებსა ან ძებნის შეწყვეტის ცირკულარებს;
- აისს “Автопоиск” გასცემს ინფორმაციას მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებზე, ავტობუსებზე, ნახევრადმისაბმელ ავტომობილებზე შემდეგი მონაცემების მიხედვით: სახელმწიფო ნომერი, ძრავის, ძარისა და შასის ნომერი. შსს-ს შსგ-ის საინფორმაციო

ცენტრებში დამატებით წარმებს მოტოციკლეტების, მობროლებისა და მოტოკალასკების რეგისტრაცია;

- აისს “Антиквариат” გასცემს ცნობებს ისტორიულ, მხატვრულ და სამეცნიერო ფასეულობის მქონე დაკარგულ და ნაპოვნ საგნებზე. ასეთ საგნებს მიეკუთვნებიან: არქეოლოგიური საგნები, ადრეული ხანის ნივთები, ისტორიული რელიქვიები, მხატვრული ნაწარმოებები, და ხელოვნების ნიმუშები;
- აისს “Вещь” უზრუნველყოფს ცნობებს დანომრილი ნივთების, დოკუმენტების, სახელმწიფო მიმოქცევის ფასიანი ქაღალდების ქურდობასა და ამოღებაზე;
- აისს “Сейф” მეტალის საცავების (სეიფის) გატეხვის დანაშაულებებზე ცნობების შეგროვების, დამუშავების და გაცემის საშუალებას იძლევა;
- აისს “Досье” საშუალებას იძლევა მივიღოთ ცნობები განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, კანონიერ ქურდებზე და სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებზე: განსაკუთრებული ნიშნები, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, კავშირები, ჩვევები და სხვა;
- აისს “Насилие” უზრუნველყოფს პიროვნების მიმართ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებული მძიმე გაუხსნელ და გახსნილ დანაშაულებებზე ისეთი ცნობებით, როგორცაა ადგილი, დრო და შესრულების წესი, ამოღებული მტკიცებულებების აღწერის და სხვა.

სამართალდარღვევებისა და დანაშაულებების აღრიცხვის, ჩადენილი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირების მიერ დამუშავებულია და ფუნქციონირებს შემდეგი აისს:

- აისს “Криминал И Адмпрактика” უზრუნველყოფს ცნობებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ;
- აისს “Криминал И Розыск” შეიცავს ცნობებს ძებნაში მყოფ ან მოძებნილ უცხოეთის მოქალაქეებზე;
- აისს “Криминал И Наказание” უზრუნველყოფს ცნობებით უცხოეთის იმ მოქალაქეებზე, იმყოფებიან გამომიებაში, დაკავებულები ან სასჯელის მოხდის პროცესში;
- სისტემა “Учет оружия” განკუთვნილია იმ იარაღის აღრიცხვის ავტომატიზაციისთვის, რომლებიც შემოსულია ტყვია/მასრათეკის შესამოწმებლად. სისტემა საშუალებას იძლევა შევიტანოთ, შევინახოთ შევცვალოთ და დავათვალიეროთ და გავცეთ/დავბეჭდოთ ინფორმაცია აღრიცხულ იარაღზე. პროგრამა საშუალებას იძლევა გავცეთ ბეჭდვაზე სტატისტიკური მონაცემები ბაზაში არსებული იარაღის შესახებ.
- სისტემა “Учет объектов” განკუთვნილია შემოსული ობიექტების (პატრონა, ტყვია, მასრა) აღრიცხვის ავტომატიზაციისთვის. სისტემა უზრუნველყოფს ასაღრიც ობიექტზე მონაცემების შეტანას, შენახვას, შეცვლას და გამოტანას ეკრანზე, ბეჭდვას, როგორც ცხრილის სახით ისე თითოეული ობიექტისათვის ბარათის სახით. პროგრამა ბაზაში არსებული ობიექტების სტატისტიკური ანგარიშების ბეჭდვის საშუალებას იძლევა.
- სისტემა "Учет фальшивых денежных знаков" განკუთვნილია ყალბი ფულადი ნიშნების კართოთეკიდან შესამოწმებლად ფულადი ბილეთების აღრიცხვის ასტომატიზაციისთვის.

სისტემა შედგება სერვერისა და ლოკალურ ქსელში გაერთიანებულ ორი სამუშაო ადგილისაგან. სისტემა ადრე შეტანილი ინფორმაციის რედაქტირების, გარკვეული პირობებით ძებნის, ახალი ინფორმაციის შეტანის, შენახვის, მონაცემების ბეჭდვის, აგრეთვე ბაზაში არსებულ ყალბ კუპონებზე სტატისტიკური მონაცემების ბეჭდვის საშუალებას იძლევა. პროგრამას აქვს შესაძლებლობების ფართო სპექტრი ექსპერტ-კრიმინალისტიკის დასახმარებლად.

შსსსპატრულოპოლიციისდეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკურმთავარსამმართველოშიგაიხსნახალილაბორატორია,
რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფით,
რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დასახვა დასხვა საექსპერტო კვლევების შემდეგ მიღებული შედეგების ატარება,
ექსპერტიზებისა და გამოკვლევების ხარისხის ამაღლება და კრიმინალისტიკურისაქმიანობის სრულყოფისათვის საჭირო დონის ძიებების განხორციელება.

ახლად გახსნილ ლაბორატორიაში ტარდება ბალისტიკური კვლევა,
მიმდინარეობს ბიოლოგიური ობიექტების არსებობისა და სახეობების განსაზღვრა,
ტარდება მიკრონაწილაკების, ლაქ-საღებავების, ბოჭკოების,
ნავთობპროდუქტებისა და ხელის ნაწილების ექსპერტიზა; ნარკოტიკული საშუალებების,
ფარმაცეპუტებისა და ნავთობპროდუქტების ქრომატოგრაფიული კვლევა.
ასაფეთქებელი ნივთიერებების სახეობის განსაზღვრა; დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა,
დაქტილოსკოპიურ კვლევაში მიმდინარეობს მემბრანული ადგილიდან წარმოდგენილი ნივთმტკიცებების დამუშავება კვალის გამოვლენის მიზნით; აუდიო და ვიდეომასალის ტექსტობრივი გაშიფვრა.



შსს-ს სამმართველოში დამუშავებულია რიგი ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემები (აის) გამოძიების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის. ერთერთ ასეთ სისტემას წარმოადგენს "Арсенал", რომელიც შეიცავს:

- აის "Картоотека уголовных дел", რომელიც აკონტროლებს საქმის მოძრაობას, პროცესუალური ვადების დაცვას, ჩატარებული ექსპერტიზების სახეებსა და რაოდენობას, მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების და მეთოდების გამოყენებას, თანამშრონლების საქმიანობას და ნაშაულების პროფილაქტიკისათვის, ახდენს მათი სამუშაოს და დატვირთვის ხარისხის შეფასებას;
- აის "Анализ статистических показателей", შეიცავს საგამომძიებლო მუშაობის მაჩვენებლებს, რომლებიც აუცილებელია გამოძიების მართვის დონეზე სამართავი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- აის "Доказательства", უზრუნველყოფს მრავალი პროცესუალური დოკუმენტების მომზადების ავტომატიზაციას. სისტემა ახორციელებს დაკითხვის ოქმებისა და ჩვენებებში დაფიქსირებული რეკვიზიტების მიხედვით ინფორმაციის ძებნას, აგრეთვე აანალიზებს საქმის მასალებს.
- აის "Постановления", უზრუნველყოფს ბრალდებულად მიჩნევის და საბრალდებო დასკვნის, საქმის შეწყვეტის/შეჩერების და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უარის დადგენილებების მომზადების პროცესის ავტომატიზაციას.

კომპლექსი "Арсенал" მუდმივად ვითარდება და სრულყოფილი ხდება.

მუშავდება კომპიუტერულ ფოტოთექსტთან და дактоучетам მიმართვის ინტეფეისი, წარმოებს ავტომატიზირებული სამუშაო ადგილების სპეციალიზირებულ ექსპერტულ სისტემებთან ინტეგრაციის სამუშაოები.

კომპიუტერული სისტემა "Face Manager" დამუშავებულია გრაფიკული მონაცემთა ბაზის შექმნისა და წარმოებისათვის შსს-ს ორგანოების მიერ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში გამოსაყენებლად ისეთი ამოცანების გადწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია არსებული ვიდეო ჩანაწერების ან მისი ფრაგმენტების მიხედვითობიექტების მოძებნასა და ამოცნობასთან.. არსებული ტექსტური და ვიდეო ინფორმაციის კატალოგიზაცია და სწრაფი შეღწევა, მისი გადაცემა ელექტრონული კავშირის არხებით და სხვა შესაძლებლობები არსებითად განასხვავებს "Face Manager"-ს ტრადიციული არქივებისა და ვიდეოკასეტებისაგან.

სისტემის შევსება შესაძლებელია არსებული ვიდეო ან ფოტოთექსტიდან. გამოსახულება შეიტანება კომპიუტერში ვიდეოკამერიდან, ვიდეომანკიფონიდან ვიდეო პლატის ან სკანერის საშუალებით. სისტემა ტექსტური ველებით (რეკვიზიტებით) ინფორმაციის ძებნის საშუალებას იძლევა, ახორციელებს სურათების სხვადასხვა რეჟიმში დათვალიერებას და ბეჭდვას ნებისმიერ პრინტერზე. მონაცემთა ბაზა დაცულია არასანქცირებული შეღწევისგან.

"Face Manager"-ი ადაპტირებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემასთან. რუსეთის ფედერაციის პროკურატურის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფის ფარგლებში დამუშავებულია ფუნქციონალური ქვესისტემა "Кვალი" (След),

სატრანსპორტო პროკურატურაში გამოსაყენებლად. ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის პრაქტიკაში და დანაშაულების გამოძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანტომატიზირებულ სისტემას "Модус операнди". ადამიანს ახასიათებს ესა თუ ის მოქმედება შეასრულოს მისთვის ჩვეულ მანერაში, ხოლო ადამიანის საქმიანობის შედეგი ასახავს პიროვნების თავისებურებებს (ინდივიდუალური გამოცდილება, ფსიქოლოგიური წყობა, ჩვევები). ანალოგიურად დამნაშავეები არც თუ იშვიათად მიყვებიან ძალადობის გარკვეულ სახეს და ასრულებენ მას თანდათან გამომუშავებული ხერხებით. დანაშაულის მეთოდი, მათი მომზადების მოქმედებების სისტემა განპირობებულია გარემო პირობებით და პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური თვისებებით. სისტემა "Модус операнди" გარკვეულწილად წარმოადგენს მონაცემების ერთობლიობას დამნაშავეების მოქმედებების მეთოდების შესახებ.

საწყისი ინფორმაცია შედგება ორი ნაწილისაგან: ცნობილი დამნაშავეების აღწერა და დანაშაულების შესრულების მეთოდების აღწერა. კართოთეკით შემდგენიარად სარგებლობენ: დაადგენენ რა ახლად ჩადენილ დამახასიათებელ ნიშნებს მათ ადარებენ "Модус операнди"-ის მონაცემებს და მონაცემების თანხვედრისას წამოაყენებენ ვერსიას, რომ დანაშაული ჩადენილია იმავე პიროვნების მიერ, რომელიც მოქმედებდა ადრე გამოყენებული იმავე მეთოდებით. იმავედროულად გადაისინჯება ადრე გაუხსნელი დანაშაულებების კართოთეკა, შესრულებული მსგავსი მეთოდებით. მეთოდების დამთხვევის შემთხვევაში შეიძლება ორი ვერსიის წამოყენება: დანაშაული ანალოგიური შესრულების მეთოდით ჩაიდინა პირმა, რომელიც მიეკუთვნება გარკვეულ პირთა ჯგუფს; დანაშაული ჩაიდინა ერთი და იმავე პირმა.

3.2. იურისტისავტომატიზირებულისამუშაოადგილი

ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი (ასა) წარმოადგენს პრობლემურ-ორიენტირებულ პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსს, რომელიც მოიცავს უშუალოდ მომხმარებლის სამუშაო ადგილზე კომპიუტერთან დიალოგის რეჟიმში მისი პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად შესაბამის პროგრამულ, ტექნიკურ, ინფორმაციულ და მეთოდურ უზრუნველყოფას.

ასა - ის ტექნიკურ ბაზას მეტწილად წარმაიდგენს უშუალოდ პერსონალის სამუშაო ადგილზე განთავსებული პერსონალური კომპიუტერი. ცალკეულ შემთხვევებში ტექნიკურ ბაზას შეიძლება წარმოადგენდეს დიდ ან მცირე კომპიუტერთან მიერთებული ტერმინალი (დისპლეი), რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დისტანციურ დამუშავებას. საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ასა-ს ნაცვლად გამოიყენება ტერმინი "სამუშაო სადგური".

სისტემის "ასა" საშუალებით შეიძლება ტელეთათბირების ორგანიზება, ელექტრონული ფოსტის შექმნა, რომელის გულისხმობს მომხმარებლებს შორის სამსახურებრივი დოკუმენტაციის უქალაქოდ გაცვლას. ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის საშუალებით შესაძლებელია ამოცანის გადაწყვეტის დიალოგური რეჟიმის უზრუნველყოფა (საქმიანი თამაშები). მრავალი "ასა"-ს სისტემები შეიცავენ დამატებით სერვისებს: მონაცემების კოპირება, აღდგენა, დაარქივება, იმპორტ-ექსპორტი, კორესპონდენციების მომზადება ტექსტური რედაქტორებით, ელექტრონული ფოსტის გამოყენება და სხვა.

სპეციალისტის საქმიანობის მიხედვით ესა თო ის "ასა" შეიძლება აღჭურვილი იყოს სატელეფონო და რადიო კავშირის საშუალებებით, ანალიზატორებით, გამზომი ხელსაწყოებით და სხვა.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელოვანი ამოცანაა გამომძიებლის, მოკვლევის, ექსპერტ-კრიმინალისტის, ოპერატიული მორიგის, უბნის ინსპექტორის და ასე შემდეგ სპეციალიზირებული ავტონატიზირებული სამუშაო ადგილის შექმნა. ამ სამუშაო ადგილებზე უნდა მზადდებოდეს და ინახებოდეს მთელი ინფორმაცია, გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი სახის დოკუმენტების დამუშავება, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მთელი სამუშაოების გადართვა სისხლის სამართლის ან სხვა საქმეების ფორმირებასა და გაფორმებაზე.

გამომძიებლის "ასა"-ს ბაზა უნდა შეიცავდეს ოპერატიული, საცნობარო, მტკიცებულობების, მეთოდური და ორგანიზაციული სახის ინფორმაციას.

ოპერატიულს მიეკუთვნება არაპროცესუალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, ძირითადად მოკვლევის ორგანოებიდან (ნასამართლეობის შესახებ ცნობები, ოპერატიულ-საცნობარო აღრიცხვის სხვა მონაცემები).

საცნობაროს მიეკუთვნება: ინფორმაცია გამოსაძიებელ უბანზე, რაიონში, მხარეში დანაშაულებების მდგომარეობის შესახებ; ცნობები ორგანიზაციებსა და საწარმოებზე; სამართალდამცავი ორგანოების სიები; საექსპერტო დაწესებულებების ჩამონათვალი და სხვა.

მტკიცებულებით ინფორმაციას წარმოადგენს პროცესუალური (საპროცესო) წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია და შეიცავს ცნობებს გამოსაძიებელი მოვლენის გარემოებების შესახებ. ეს ინფორმაცია შედის სისხლის სამართლის საქმეებში.

მეთოდურ ინფორმაციას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც თავმოყრილია სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეული სახის დანაშაულებების გამოძიების, გამოძიების წარმოების ტექნიკისა და ტაქტიკის შესახებ რეკომენდაციების სახით.

ორგანიზაციულს მიეკუთვნება ცნობები, რომელიც შედის სისხლის სამართლის საქმეების კონსპექტებში, დანაშაულებების გამოძიების გეგმებში, მალ შორის კალენდარულ გეგმებში და სხვა.

3.3 კომპიუტერისგამოყენებასასამართლოექსპერტიზაში

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება სასამართლო ექსპერტიზის გამოყენებაში დაკავშირებულია ამ სფეროში ავტონატიზირებული საინფორმაციო საძიებო სისტემების შექმნასთან. ასეთი სისტემების შექმნა წახალისებულია იმით, რომ ასეთი კვლევების ობიექტების რანგში წარმოდგენილია ათასობით სხვადასხვა სახის მასალები, ნივთიერებები, ნაკეთობები, რომელთაგან თითოეული მათგანი ხასიათდება მრავალი ნიშანთვისებებით.

ტრადიციულად სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებებში იქმნებოდა საცნობარო საინფორმაციო ფონდები - სხვადასხვა ობიექტების ნაკრებების, იარაღის სახეების, საბრძოლო მასალების, ფეხსაცმელების, შუქფარების ნამსხვრევების და სხვა.

სასამართლო ექსპერტიზის ავტომატიზირებული საინფორმაციო საძიებო სისტემა უნდა შეიცავდეს კომპლექსურ მონაცემთა ბაზას ჩატარებული ექსპერტიზის მასალების შესახებ.

სასამართლო ექსპერტიზაში ავტომატიზირებული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს და აჩქარებს ნივთმტკიცებულებების ამოცნობას თუკი იგი ფიგურირებდა ადრე მომხდარ დანაშაულებების საექსპერტო მონაცემებში.

3.4 დაქტილოსკოპიურიექსპერტიზა

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, როგორც პიროვნების იდენტიფიკაციის საშუალება ცნობილია უძველესი დროიდან. შემონახულია ძველ ჩინეთში, აგრეთვე ძველი ცივილიზაციის სხვა კერებში, ადამიანის იდენტიფიკაციისთვის თითის ანაბეჭდების გამოყენების დოკუმენტური მტკიცებულებები.

XX საუკუნის 80-ან წლების დასაწყისში გამოჩნდა თითის ანაბეჭდებით პიროვნების იდენტიფიკაციის ავტომატიზირებული სისტემის პირველი ვერსიები. სისტემაგამოიყენებდა არა მარტო ექსპერტის მიერ მომზადებულ აღწრილ ინფორმაციას, არამედ გრაფიკული ინფორმაციასაც, რომელიც სისტემის მიერ აავტომატურ რეჟიმში მუშავდებოდა.

ამჟამად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება მონოდაქტილოსკოპური რეგისტრაციის ავტომატიზირებული სისტემები. რუსეთში მოცემული სფეროს პიონერი ლ. გ. ეჯუბოვი იყო, რომელმაც შეთავაზა დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის ახალი ნახევრავტომატური სისტემა. მეტნაკლებად რთული ამოცანა -პაპილარული უზორის (სახის) კოდირება - ამ სისტემაში ე.წ ზონალურ-წერტილოვანი კოდის საშუალებით წყდებოდა. ოპტიკური პროექციის საშუალებით გადიდებულ თითის ანაბეჭდებზე, რომელიც ორი კორდინატა ღერძის მიმართ მკაცრად განსაზღვრული სახითიყო განლაგებული, უზორის დეტალები წერტილებით გამოისახებოდა. თითოეული წერტილის კორდინატები კომპიუტერის მეხსიერებაში ორი რიცხვით შეიყვანებოდა.

რუსეთში დამუშავებულია თითის და ხელისგულის ანაბეჭდების მიხედვით ავტომატიზირებული დაქტილოსკოპიური საინფორმაციო-საცნობარო სისტემა " Папилон ".

შეყვანილი დაქტილოსკოპიური გამოსახულების დამუშავებისას სრულდება ავტომატური კოდირება მისი ზოგადი თავისებურებების მიხედვით: ანაბეჭდის ცენტრის მდებარეობა და უზორის სახე, პაპილარული ხაზების, ცენტრების ორიენტაცია, და დეტლების ორიენტაცია - თუკი ისინი არის, და სხვა. ცხადია, რომ პარამეტრების ასეთი ჯგუფი არ იძლევა საშუალებას მრავალი ათასი დაქტილობარათიდან ცალსახად მოიძებნოს ობიექტი, თუმცა წყდება დამუშავების პროცესის მაქსიმალური ავტომატიზაციის ამოცანა და მნიშვნელოვნად ვიწროვდება ძებნის არე ანაბეჭდების კოდის წინასწარი ანალიზის ხარჯზე.დღეისათვის სისტემის " Папилон " მონაცემთა ბაზაში 10-20 ათასიდან 3,5 მილიონამდე დაქტილობარათია.ამ სისტემის გამოყენების ეფექტურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მისი გამოყენებით გახსნილია 60 000-ზე მეტი დანაშაული.

ამ სისტემის ძირითადი შესაძლებლობებია:

- ოპტოელექტრონული დაქტილოკოპირება: თითების გათრევა, ხელისგულების ანაბეჭდი, საკონტროლო დამაგრება;
- დაკავებულის, მისი განსაკუთრებული ნიშნების ელექტრონული ფოტოგრაფირება;
- ელექტრონული ბარათის შედგენა; დაქტილობარათების მაღალი ხარისხით ბეჭდვა.


ამ სისტემის გამოყენების მაღალი ეფექტურობა მდგომარეობს:

- მაღალი ხარისხის დაქტილობარათების მომზადებაში;
- ექვმიტანილის შემოწმება მისი დაკავებიდან 1-3 საათში ადრე გაუხსნელიდანაშაულების კვალის მიხედვით;
- პირის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის შემოწმება, რომელიც დაკავებული არისსხვა გარემოებებიდან გამომდინარე - ფაქტის გამოვლენა, როდესაც პირი წარუდგა სხვისი საპასპორტო მონაცემებით.

ცხადია, ეს სისტემა ფლობს უეჭველ ღირსებებს ტრადიციულ დაქტილოსკოპურ მეთოდებთან შედარებით ფედერალური კანონის "О государственной дактилоскопической регистрации в РФ" რეალიზაციისას.

ავტომატიზირებული დაქტილოსკოპიური საინფორმაციო სისტემები წარმატებით გამოიყენება ექსპერტულ-კრიმინალისტურ განყოფილებებში დანაშაულებების გახსნისას. აღნიშნულ განყოფილებებში სისტემის ეფექტური გამოყენება განპირობებულია ინფორმაციულ ცენტრებსა და ექსპერტულ-კრიმინალისტურ განყოფილებებში ერთიანი მონაცემთა ბაზის წარმოებით.

საქართველოში ამ სახის ექსპერტიზას ახორციელებს კერძო საადვოკატო სააგენტო ზაქარია ქუცნაშვილის ხელმძღვანელობით.



3.5. ფონოსკოპირიექსპერტიზა

გამოთვლითი ტექნიკის დანერგვით და სიგნალების დამუშავების ციფრული მეთოდების განვითარებით შესაძლებელი გახდა სიგნალების არა მარტო ამპლიტუდური, სიხშირული და დროითი ანალიზი, არამედ პრაქტიკულად მისი ყველა აკუსტიკური პარამეტრების გაზომვა.

სისტემებში СКИФ, СИГ, Диалект, SIS, SASIS, Phonograph და სხვა რეალიზებული ხმოვანი სიგნალების დამუშავების და ანალიზის კომპიუტერული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევიან განხორციელდეს:

- ამოცნობის სისტემაში შეყვანილი ხმოვანი (სიტყვიერი) სიგნალის აუტენტურობის (ანუ ეკუთვნის თუ არა მოცემულ პირს) დადგენა. ტექნიკური სისტემები, რომლებიც ამ ტიპის ამოცანებს წყვეტენ გამოიყენებიან საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში, ობიექტისდაცვაზე დაყენების და მოხსნისათვის ტელეფონით, ეთერში გასვლის კონტროლისათვის და სხვა;
- პიროვნების იდენტიფიკაცია სადავო ფონოგრამაზე დაფიქსირებული მეტყველების ნიხედვით. ეს ამოცანა განსხვავებულია წინა ამოცანისაგან შემთხვევითი და წინასწარგანზრახული დაზიანებების შესაძლო არსებობის გამო;
- ერთი ფონოგრამის რეპლიკების გაყოფა პიროვნებების მიხედვით. ასეთი ამოცანა ჩვეულებრივად დგება რაიმე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ. ამ შემთხვევებში აუცილებელია საუბრის მონაწილეების ზუსტი რაოდენობის დადგენა და რეპლიკების ცალსახად იდენტიფიკაცია, ამასთან ხშირად გამომძიებლებს ხმის ნიმუშები ჩვეულებრივად არ გააჩნიათ;
- აუდიო მასალების ნამდვილობის დადგენა და სხვა მრავალი.

ფონოგრამების კრიმინალისტური კვლევის კომპიუტერული სისტემა "Signal Viewer" განკუთვნილია ექსპერტ-კრიმინალისტებისათვის ფონოგრამების ობიექტური გამოკვლევის ინსტრუმენტების მიწოდება, რომლებიც პასუხობენ მაღალი დონის მოთხოვნებს. სისტემის მთავარი ამოცანებია:


- პიროვნების იდენტიფიკაცია მეტყველების მიხედვით;
- მაგნიტაფონის ფონოგრამის მონტაჟის ნიშნების დადგენა;
- მაგნიტოფონის დიაგნოზი და იდენტიფიკაცია ფონოგრამის მიხედვით;
- ხმის გამომცემი ობიექტების დიაგნოზი და იდენტიფიკაცია;
- იმპულსური ხარვეზებითა და ხმაურით დამოწვეული გაურკვეველი დიალოგის შინაარსის დადგენა;
- ფონოგრამის ორიგინალისა და ასლის გარკვევა და სხვა.

ფონოგრამის გამოკვლევისას ექსპერტი მუდმივად ხედავს:

- ფონოობიექტის ზოგად ხედს სიმძლავრის დინამიკის სახით;
- ფონოობიექტის მიკროსეგმენტს ანალიზის მიმდინარე წერტილში ოსცილოგრამის სახით;

- ფონოობიექტის ანალიზის 7 ძირითად ფორმას: ოსცილოგრამას, ამპლიტუდურ-ფონურ სპექტრს, ჰარმონულობის და ხმის ძირითადი ტონის ინდიკატორს, სონოგრამას, ჰარმონოგრამას და ინტონოგრამას.

საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებელი საექსპერტო ცენტრი „ვექტორი“, <http://expertise.ge/>




ასევე ფუნქციონირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასამართლო ექსპერტისის ეროვნული ბიურო - <http://www.forensics.ge>.

ბიუროა ხორციელებს სრულფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურების შემდეგ დარგებში:

- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა
- ბალისტიკური ექსპერტიზა
- ტრასოლოგიური ექსპერტიზა
- დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა
- ავტო-ტექნიკური, სატრანსპორტო ტექნიკური, ავტო-სასაქონლო, საავიაციო და სარკინიგზო-ტექნიკური ექსპერტიზა
- კომპიუტერული, ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზა
- სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა
- ფინანსური ექსპერტიზა
- სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა
- სასაქონლო ექსპერტიზა
- ზოგადი ქიმიური ექსპერტიზა

- ნარკოტიკული, მომწამვლელინივთიერებებისა და ფარმპრეპარატებისექსპერტიზა
- კვების (მათმორისბავშვთა) პროდუქტების, თამბაქოსნაწარმის, ალკოჰოლიანიდაუალკოჰოლოსასმელებისექსპერტიზა
- ნავთობპროდუქტებისექსპერტიზა
- რადიაციულიექსპერტიზა
- სამედიცინოექსპერტიზა
- ფსიქიატრიულიდაფსიქოლოგიურიექსპერტიზა
- ნარკოლოგიურიექსპერტიზა
- ბიოლოგიურიექსპერტიზა(დნმ, სეროლოგია, ფარმაკოგენეტიკა, ვენურითრომბოზი,მემკვიდრულიძუძუსკიბოდასხვა)
- სასამართლოექსპერტიზისეროვნულიბიუროსსხვა მომსახურება



2004 წლიდან ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, http://justice.gov.ge/lang_id=GEO&sec_id=23&info_id=282index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=282

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრისა და შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტიზის სამსახურების ბაზაზე შეიქმნა. ეს სტრუქტურული ცვლილება სისტემის უკეთ მართვისა და ექსპერტიზის სფეროში ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის გახდა აუცილებელი.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიურო უფლაბამოსილია განახორციელოს:

დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა; ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა; ბალისტიკური ექსპერტიზა; ტრასოლოგიური ექსპერტიზა; ავტო-ტექნიკური, სატრანსპორტო-ტრასოლოგიური და ავტოსასაქონლო ექსპერტიზა; კომპიუტერული, აუდიო-ვიდეო, პომეოსკოპიური და ფონოსკოპიური ექსპერტიზა; დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა; ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა; ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების ექსპერტიზა; მცენარეული ობიექტების ექსპერტიზა; ნავთობპროდუქტების ხარისხის ექსპერტიზა; კვების პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმის ექსპერტიზა; საინჟინრო - ტექნიკური ექსპერტიზა; სამედიცინო ექსპერტიზა; ჰისტოლოგიური ექსპერტიზა; ფიზიკო - ტექნიკური ექსპერტიზა; სამედიცინო - ქიმიური ექსპერტიზა; ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა; ნარკოლოგიური შემოქმედა და ექსპერტიზა. ბიუროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები. მას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ნიშნავს. ბიუროს უფროსს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროზე კონტროლს იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს.

3.6 ვიდეოთვალთვალის კომპიუტერული სისტემები

პროგრამულ-აპარატული კომპლექსი “ВИЙ-5А” განკუთვნილია საავტომობილო ტრანსპორტის აგრეგატებზე საიდენტიფიკაციო ნომრების იდენტიფიკაციისათვის და გამოიყენება:

- ✓ ავტომობილების კრიმინალისტიკური გამოკვლენისათვის:
 - აგრეგატების ნომრების ნამდვილობის დადგენა;
 - პირველად ნომრების აღდგენა დაზიანებული რელიეფის შემთხვევაში;
 - სანომრე ნიშნების ტექნოლოგიის ცვლილების დადგენა;
- ✓ საერთო ტრასოლოგიური გამოკვლევა, რელიეფის და ზედაპირის დეფექტოსკოპია;
- ✓ ობიექტების გამოსახულების ავტომატური შეყვანა კომპიუტერში და დამუშავება;
- ✓ მიღებული გამოსახულების გამოკვლევა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით: გაზონვა, შედარება და სხვა.
- ✓ მაგნიტურ ოპტიკური ვიზუალიზაცია (მოვ) და სხვა.

ვიდეო თვალთვალის თანამედროვე სისტემებს უნარი აქვთ არა მარტო გაზარდოს დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხი, არამედ გადაწყვიტოს სხვადასხვა საგნებისა და ადამიანების ავტომატური იდენტიფიკაციის ამოცანები. საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებები ფართოდ იყენებენ ავტოტრანსპორტზე ვიდეოთვალთვალის საგზაო სისტემებს.

პროგრამულ აპარატული კომპლექსი **MR-777** წარმოადგენს სპეციალიზირებულ კომპიუტერულ TV - სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავ ავტომობილებზე სახელმწიფო რეგისტრაციის ნომრების აღმოჩენას, ამოცნობას და ჩაწერას.

სისტემის ძირითადი მახასიათებლებია:

- ნომრების აღმოჩენისა და ამოცნობის საიმედოობა - 95% მეტი;
- ტრასაზე ავტომობილის მოძრაობის შეზღუდვა - 1 არხისთვის 200 კმ/სთ;
- ერთი კამერისათვის კონტროლის ზონის სიგანე - 3 მეტრი. რამოდენიმე კამერის სინქრონული მუშაობისას ერთ კომპიუტერში (სისტემა უზრუნველყოფს 4 ვიდეო კამერის ჩართვას, რომელთაგან თვითოეული აკონტროლებს გზის ერთ ზოლს) შესაძლებელია კონტროლის ზონის 6,9 ან 12 მეტრამდე გაზრდას (ანუ იმუშაოს ავტომობილების მიერ რიგითობის დარღვევის პირობებში);
- როგორც წინა ისე უკანა ყველა სახის ნომრების ამოცნობა - მოძველებული, დიპლომატიური, ნაციონალური ნომრები და სხვა;

ასეთი სისტემები თავიანთ საქმიანობაში შეიძლება გამოიყენონ, როგორც შსს-ოს სამძებრო განყოფილებებმა ავტოტრანსპორტის ძებნისას და დარღვევის ფაქტების ფიქსაციისათვის, ისე არასაუწყებო დაცვის ორგანიზაციებმა დაცვის ტერიტორიაზე დაშვების ორგანიზაციისათვის.

ავტომატური რეგისტრაციისასპიკეტებზე და ტრასაზე კამერები ყენდება მოძრაობის ზოლზე პოსტის სიახლოვეს - კომპიუტერი კი პიკეტის შენობაში. ამოცნობილი ნომერი, თარიღი დრო და ადგილი ფიქსირდება კომპიუტერულ ოპერატიულ ჟურნალში, რაც საშუალებას იძლევა დროის ნებისმიერ მონაკვეთში მივიღოთ ყველა საჭირო ინფორმაცია გამვლელ ავტომობილებზე ძირითადი პროცესის გაჩერების გარეშე. ნებისმიერი ძებნის შედეგი შეიძლება გამოიბეჭდოს, გაკეთდეს ასლი ან გადაეცეს კომპიუტერული კავშირის სისტემებით. თვითოეული დაფიქსირებული ნომერი მოწმდება მონაცემთა ბაზაში. ასეთი შეიძლება იყოს, როგორც გლობალური ისე რეგიონალური ან ადგილობრივი ბაზები, მაგალითად გატაცებული მანქანების, ძებნაში მყოფი მანქანების, გაზრდილი ინტერესის მქონე მანქანები და სხვა. თუ შესაბამისი მაჩვენებლები აღმოჩენილი იქნება სისტემა ასრულებს მოცემული ბაზისთვის გაწერილ მოქმედებებს - გამოაქვს ინფორმაცია მონიტორზე, გამოსცემს ხმოვან შეტყობინებას, ჩართავს ან გამორთავს ნებისმიერ გარე მოწყობილობას და სხვა. სისტემის რეაქცია პროგრამირდება მომხმარებლის მიერ, ის შეიძლება იყოს ერთნაირი ბაზის ყველა ნომრის მანქანისათვის ან ინდივიდუალური თითოეული ნომრისათვის.

საკონტროლო პოსტიდან შედარებით ნაკლებ მანძილზე საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დამრღვევის ძებნისას რეგისტრაციის ჟურნალით ყოველთვის შესაძლებელია, როგორც თითონ დამრღვევის, ისე პოტენციური თვითმხილველების გავლის დროის მოძებნა. განვითარებული სისტემის დაყენებისას შესაძლებელია მანქანის მარშრუტის შედგენა, როგორც უშუალოდ მოძრაობის პროცესში (თვალთვალისას), ისე მარშრუტის აღდგენა წარსულში (გამომიებისას).

ავტომატიზირებული საინფორმაციო საცნობარო სისტემა "პორტრეტი" ("Портрет") გრაფიკული ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზის შექმნის საშუალებას იძლევა. ეს შეიძლება იყოს სკანერით, უშუალოდ ციფრული კამერით, ვიდეოკამერით ან ვიდეომანკინტაფონით გადაღებული გამოსახულებები. ძებნა ხორციელდება ნებისმიერი არსებული პარამეტრებით:

გვარი; დაბადების თარიღი; საცხოვრებელი ადგილი; დანაშაულია შემადგენლობა და მეთოდი, აგრეთვე სიტყვიერად აღწერილი პარამეტრებით: სახის ფორმა, თვალები, ცხვირი, წარბები და სხვა. მოცემული რეკვიზიტებით განხორციელებული ძებნისას მოძებნილი ფოტოსურათები გამოიტანება ეკრანზე ვიზუალური გადარჩევისათვის. დამოსახულებები ასევე შეიძლება გამოიბეჭდოს ნებისმიერი ტიპის პრინტერზე.

ავტომატიზირებული სისტემა "ფოტორობოტი" ("Фотобот") განკუთვნილია ინპირების ფოტორობოტის შედგენაში, რომლებიც დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. პორტრეტის აწყობა ხორციელდება შემდეგი ცალკეული ელემენტებისაგან, როგორცაა ვარცხნილობა, თვალები, ცხვირი და ასე შემდეგ. გარდა ამისა წარმოდგენილია ისეთი ელემენტების ჯგუფი როგორცაა თავსაბურავების, სათვალეების, ულვაშების, ნაოჭების, საყურეების ზედა ტანსაცმელის და სხვა. არსებობს პროფილის ტიპის პორტრეტის ელემენტების ჯგუფი. მიღებული პორტრეტი შეიძლება შესწორდეს ხელით. ასევე შესაძლებელია პორტრეტის ელემენტების ურთიერთმდებარეობის შეცვლის შესაძლებლობა და სხვა.


თავი 4. ინფორმაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების სფერო.

4.1. ინფორმაციული სფეროს ცნება, შემადგენლობა და შინაარსი

კანონმდებლობით ინფორმაციული სფერო განსაზღვრულია, როგორც ” საქმიანობის სფერო, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის გავრცელებასთან, გარდაქმნასა და მოხმარებასთან”. (საქართველოს კანონი ”ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის შესახებ”). ხოლო ინფორმაციული პროცესი, როგორც ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, მოძებნის, მიღებისა და გავრცელების პროცესი (საქართველოს კანონი ”ინფორმაციის ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ”). ინფორმაციული პროცესს აგრეთვე უნდა მიეკუთვნოს ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნისა და გამოყენების პროცესი.

საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ექვემდებარებიან სამართლებრივ რეგულირებას ინფორმაციულ სფეროში, წარმოიქმნებიან სწორედ ამ ინფორმაციული პროცესების შესრულებისას. ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს უწოდებენ ინფორმაციულ ურთიერთობებს, ხოლო ინფორმაციული პროცესების შესრულებისათვის საქმიანობას - ინფორმაციულ საქმიანობას.

ინფორმაციასა და მის მიმოქცევასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების კვლევისათვის წარმოვადგინოთ ინფორმაციული სფეროს მოდელი. ინფორმაციის სახისა და წარმოდგენის მეთოდების, მისი გარდაქმნისა და მიმოქცევის თავისებურებებიდან გამომდინარე ინფორმაციული სფერო შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: ძირითადი ნაწილი ანუ საკუთრივ ინფორმაციის მიმოქცევის ნაწილი და ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიმოქცევას, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ იყოფა სფეროებათ. ძირითადი ნაწილი მოიცავს სამ სფეროს, მიმოქცევის უზრუნველყოფის - ორ სფეროს.



ნახ. ინფორმაციული სფეროს ზოგადი სტრუქტურა

გარე წრის ზედა სექტორი გამოხატავს საწყისი და წარმოებული ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების სფეროს, დაბლა სექტორი - ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტის

მომზადების, ინფორმაციული მომსახურების და მიწოდების სფეროს. ეს ორი სექტორი ზემოქმედებს ინფორმაციის მოძებნის, მიღებისა და მოხმარების სფეროზე - შუა სექტორი.

დღეისათვის საქმიანობა ინფორმაციულ სფეროში წარმოუდგენელია ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემების, მონაცემთა ბანკების, მათი ქსელების და სხვა - გამოთვლითი ტექნიკისა და საკომუნიკაციო საშუალებების განოყენებაზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ შექმნა ინფორმაციული პროცესების ეფექტიურობის გაზრდის, ინფორმაციული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ახალი შესაძლებლობები და ფაქტობრივად მოახდინა რევოლუცია საინფორმაციო კონუნიკაციებში. შეიქმნა ტრადიციულისაგან თვისობრივად განსხვავებული ინფორმაციის ახალი მატერიალური მატარებლები და მათი ტირაჟირების ახალი მექანიზმები.

შეიძლება ჩამოვყალიბოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და საინფორმაციო პროცესების მართვის შემდეგი სფეროები:

- ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნის სფერო;
- ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებებისა და მექანიზმების შექმნისა და გამოყენების სფერო;
- ინფორმაციის მოხმარების სფერო;
- ინფორმაციული რესურსების შექმნის, ინფორმაციული პროგუქტის მომზადების, ინფორმაციული მომსახურების მიწოდების სფერო;
- საწყისი და წარმოებული ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების სფერო;

გაჩნდა დამატებითი სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად სფეროებს პროგრამულ-ტექნიკური საშუალებებით, კავშირისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებები - ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნისა და გამოყენების სფერო.

ინფორმაციის შექმნა, გარდაქმნა და მოხმარება, განსაკუთრებით კავშირის და ტელეკომუნიკაციის თანამედროვე სისტემების პირობებში მოითხოვს აქცენტების გამახვილებას ინფორმაციულ სფეროში უსაფრთხოების პრობლემებზე.

ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითად დანიშნულებად შეიძლება ჩაითვალოს: ინფორმაციის არასანქცირებული ჩარევის საფრთხეების გამოვლენა და დაცვა; ინფორმაციული უფლებები და პიროვნების თავისუფლების დაცვა; პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს დაცვა ცრუ, საზიანო ინფორმაციისგან, დეზინფორმაცია.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კიდევ ერთი უზრუნველყოფის სფერო - ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებების შექმნისა და გამოყენების სფერო.

ინფორმაციული სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნის სფერო წარმოიქმნა და ვითარდება სხვა დანარჩენი სფეროების მოთხოვნების შესაბამისად. ამავე დროს, ნებისმიერი ძირითადი სფერო წარმოუდგენელია პროგრამულ-ტექნიკური და ტელეკომუნიკაციების საშუალებების გამოყენების გარეშე.

ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებებისა და მექანიზმების შექმნისა და გამოყენების სფერო უზრუნველყოფს ინფორმაციული პროცესების რეალიზაციას გამომდინარე პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოების მოთხოვნებიდან საინფორმაციო სფეროში. იგი წარმოიშვა და ვითარდება ზემოთ შამოთვლილი ოთხი სფეროს მოთხოვნებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო ფუნქციონირებას.

ინფორმაციული სივრცის დაყოფა სფეროებათ პირობითია, რადგანაც ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საწყისი ინფორმაცია იქმნება გარემოს ზემოქმედების შედეგად, აგრეთვე წარმოებული ინფორმაციის და ინფორმაციული რესურსებიდან ცნობების საფუძველზე. წარმოებული ინფორმაცია იქმნება როგორც საწყისი ინფორმაციის ასევე ცნობებით ინფორმაციული რესურსებიდან. ინფორმაციული რესურსები კი იქმნება საწყისი და წარმოებული ინფორმაციის საფუძველზე და ბოლოს ინფორმაციის მოხმარების საფუძველზე კვლავ იქმნება ახალი საწყისი და წარმოებული დოკუმენტირებული ინფორმაცია, ყალიბდება ან ივსება ინფორმაციული რესურსები. ამრიგად, იკვრება ინფორმაციის წრიული მოძრაობა, ანუ ინფორმაციის მიმოქცევა ინფორმაციულ სივრცეში.

ერთი და იგივე ფიზიკური პირი შეიძლება სხვადასხვა სფეროში იყოს სხვადასხვა სუბიექტის რანგში. მაგალითად, სამეცნიერო ნაშრომის ავტორი შეიძლება მუშაობდეს მონაცემთა ბანკის ადმინისტრატორად ინფორმაციული რესურსების სფეროში, გამოვიდეს მომხმარებლის რანგში ინფორმაციის ძებნის, მიღებისა და მოხმარების სფეროში, გამოვიდეს ინფორმაციული სისტემის მოხმარების სპეციალისტის რანგში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროს ფარგლებში ინფორმაციის დაცვის საკითხების გადაწყვეტისას.

4.2 ინფორმაციისძებნის, მიღებისადამოხმარებისსფერო

ეს სფერო გარკვეულ მოსაზრებით ინფორმაციის მიმოქცევის სფეროა. სწორედ აქ წარმოიქმნება მოთხოვნილება ინფორმაციაზე და ხდება მომხმარებლების ფართო წრის უზრუნველყოფა ინფორმაციით. მოცემული სფეროს ძირითადი სუბიექტებია მომხმარებლები ან ინფორმაციის მიმღებები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მოქალაქეები, მეცნიერები, სპეციალისტები, იურიდიული და ფიზიკური პირები, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, სხვა სუბიექტები, რომლებიც მოქმედებენ ინფორმაციის ძებნის და მიღების მათი კომპეტენციის ფარგლებში, ან თავისი ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციისათვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი უფლებების ფარგლებში. არსებითად ესენია საქართველოს მთელი მოსახლეობა და მომხმარებლები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

მომხმარებლის ძირითადი მიზანი შესაბამისი ცნობების მიღებაა გარკვეული გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, როგორც წესი, ინდივიდუალურად ახორციელებს ინფორმაციის მოძებნის, მიღების, გადაცემის ცალკეულ მოქმედებებს, სხვა სფეროს სუბიექტებისაგან (ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტის მომზადების, ინფორმაციული მომსახურების მიწოდების) განსხვავებით, რომლებიც დოკუმენტების ნაკადის და მოთხოვნების დამუშავებისაწარმოო საქმიანობას ასრულებენ ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და მომხმარებლისათვის ინფორმაციული პროდუქტის მომზადებისა და მომსახურების მიწოდების მიზნით.

ამ სფეროს ძირითადი ობიექტია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება თითოეულის მიერ. ეს შეიძლება იყოს აუდიო და აუდიოვიზუალური ინფორმაცია, ტექსტური ინფორმაცია, სხვადასხვა სახის სახის და დანიშნულების ინფორმაციული პროდუქტია მომზადებული და მიწოდებული ინფორმაციული რესურსების მფლობელების მიერ (ცალკეული დოკუმენტები, თემატური ნაკრებები, დოკუმენტების მასივი მონაცემთა ბანკის სახით და სხვა).

სახელმწიფო ინფორმაციულ რესურსებთან ფიზიკური და იურიდიული პირების დაშვება გარდა მათი პირადი ინფორმაციული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა წარმოადგენს საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაზე, აგრეთვე ეკონომიკის, ეკოლოგიის და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებზე.

4.3 საწყისი და წარმოებული ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების სფერო

ინფორმაცია ამ სფეროში იქმნება ზემოთ განხილული ინფორმაციის ძეგლისა და მიღების სფეროს სუბიექტების ინფორმაციული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული სფეროს ფუნქციონირების უზრუნველყოფ სუბიექტებს წარმოადგენს ინფორმაციის მწარმოებლების ფართო წრე. ესაა მოქალაქეები და მათი გაერთიანებები, მეცნიერები და სპეციალისტები, ჟურნალისტები და მიმომხილველები, ორგანიზაციები, საწარმოები, სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის ორგანოები. ინფორმაცია ვრცელდება მასიური ინფორმაციის საშუალებებით, ფოსტით, ინტერნეტით, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირების მოქმედების შედეგად, რომლებიც ქმნიან სხვადასხვაგვარ დოკუმენტებს ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ესაა მასობრივი ინფორმაცია, ცნობები და რეკლამები, სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, შემოსავლების მონაცემები, ინფორმაცია მოქალაქეებზე და სხვა მრავალი დოკუმენტები. ინფორმაცია პრაქტიკულად იქმნება ადამიანის ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის პროცესში.

შექმნილი საწყისი და წარმოებული ინფორმაცია (ანოტაციები, რეფერატები, დასკვნები და სხვა) იყოფა შემდეგი სახის ჯგუფებად:

- ინფორმაცია, როგორც შემოქმედების შედეგი - მეცნიერული და ლიტერატურული ნაწარმოებები, გამოგონებები, აღმოჩენები, საწარმოო საიდუმლოებები;
- აუცილებელი წარსადგენი დოკუმენტაცია, ანუ დოკუმენტირებული ინფორმაცია, რომლებიც მზადდება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საკუთარი საქმიანობის ანგარიშგების სახით და წარედგინება აუცილებელი დოკუმენტების ეგზემპლარები უფლებამოსილ ორგანოებს და ორგანიზაციებს;
- დოკუმენტირებული ინფორმაცია მოქალაქეებზე - პირადი ინფორმაცია, რომელიც მზადდება და წარედგინება თვითოეულის მიერ თავისი უფლებების და მოვალეობების შესრულებისას;
- აუცილებელი დოკუმენტირებული ინფორმაცია, რომელიც მზადდება და ვრცელდება სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების მიერ მათი კომპეტენციის შესაბამისად;
- მასიური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს იმფორმაციული ხასიათის შეტყობინებებს, რომელიც მზადდება და ვრცელდება მასიური ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მათ შორის იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის რეკლამა, მომხმარებლისათვის შეთავაზებული პროდუქციის და მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია არჩევნებსა და რეფერენდუმების შესახებ და სხვა საწყისი წარმოებული ინფორმაცია.

შემოქმედების პროცესში შეიძლება წარმოიქმნას შემდეგი დოკუმენტირებული ინფორმაცია:

- ლიტერატურული და მეცნიერული ნაწარმოებები; გამოგონებებისა და საწარმოო ნიმუშების პატენტები, მოწმობები სასარგებლო მოდელების შესახებ; საწარმოო და მეცნიერული საიდუმლოებების (ნოუ-ჰაუ) შემცველი დოკუმენტები.
- აუცილებელი დოკუმენტირებული ინფორმაცია (დოკუმენტების აუცილებელი საკონტროლო ეგზემპლარები, სააღრიცხვო, სტატისტიკური, საგადასახადო, სარეგისტრაციო და სხვა ასეთი სახის ინფორმაცია) იქმნება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აუცილებელი ანგარიშგების წესით და ეგზავნება სხვადასხვა ორგანოებს და ორგანიზაციებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი სახის დოკუმენტირებულ ინფორმაციას წარმოადგენს სხვადასხვა საანგარიშო ფორმები.

- ინფორმაცია მოქალაქეებზე (პერსონალური მონაცემები) იქმნება მოქალაქეების მიერ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის დაკავშირებული მათი უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციასთან და ვალდებულებების შესრულებისას (მაგ. სამხედრო ვალდებულებები) და წარედგინება სხვადასხვა სუბიექტებს, როგორც პირადი მონაცემები.
- ოფიციალური დოკუმენტირებული ინფორმაცია იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და თვითმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების მიერ მათი სტატუსის და მათზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. საქართველოს კანონის "საავტორო უფლებების და მომიჯნავე უფლებების შესახებ" შესაბამისად ოფიციალური დოკუმენტები (კანონები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხასიათის ტექსტები), აგრეთვე მათი ოფიციალური თარგმანები არ წარმოადგენენ საავტორო უფლების საგანს.

ოფიციალური დოკუმენტების სახით დოკუმენტირებული ინფორმაცია უნეტეს შემთხვევაში ღიაა და შეიძლება თავისუფლად გავრცელდეს. გამონაკლისია ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქეებს (მაგ. სასამართლო გადაწყვეტილება), რომელიც ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინფორმაციული ხასიათის მქონე, მოვლენებისა და ფაქტების შემცველი დოკუმენტირებული ინფორმაცია ძირითადად იქმნება მასიური ინფორმაციის საშუალებებით.

4.4 ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტების მომზადების, ინფორმაციული მომსახურების სფერო

ამ სფეროში წინა სფეროებისაგან განსხვავებით თავმოყრილია რეპროსპექტიული დოკუმენტირებული ინფორმაცია ინფორმაციული რესურსების ფორმით, როგორც კაცობრიობის ცოდნის ერთობლიობის აკუმულიატორი (მარაგი), დაგროვილი ცივილიზაციის მთელი წლების განმავლობაში. საქართველოს კანონი " ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ" იზღუდა ინფორმაციული რესურსების ცნების შემდეგ განმარტებას: "ინფორმაციული რესურსები ცალკეული დოკუმენტები, დოკუმენტების ცალკეული მასივები ინფორმაციულ სისტემებში (ბიბლიოთეკებში, არქივებში, ფონდებში, მონაცემთა ბანკებში, სხვა ინფორმაციულ სისტემებში" (მუხლი).

ეს სფერო, როგორც საწყისი და წარმოებული ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების სფერო, წარმოადგენს განსაკუთრებულად მძლავრ დამაგროვებელს და იმავდროულად ინფორმაციის გენერატორს, რომელიც ეფუძნება რეპროსპექტიული დოკუმენტირებული ინფორმაციის შეკრებას, დაგროვებას, დოკუმენტირებული ინფორმაციის (მონაცემების) მასივების შენახვას და გავრცელებას სხვადასხვა სახით და ფორმით, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინფორმაციული სისტემების, მათ შორის ავტომატიზირებულის, მონაცემთა ბანკების, მათი ქსელების, პირველ რიგში ინტერნეტის საშუალებით და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სრულდება ინფორმაციის შეგროვების, დაგროვების, შენახვის, ინფორმაციული რესურსების წარმოების, მოძებნისა და გავრცელების პროცესების რეალიზაცია.

ამ სფეროში გამოიყოფა შემდეგი სახის სუბიექტები:

- მოქალაქეები, მათ შორის უცხოეთის, მოქალაქეობის არ მქონე პირები;

ორგანიზაციები:

- ბიბლიოთეკები; არქივები; მუზეუმები; ინფორმაციული ცენტრები და სხვა ინფორმაციული სტრუქტურები - ინფორმაციული ფონდები, ინფორმაციის ანალიზის ცენტრები, ინფორმაციული სააგენტოები; სხვა ორგანიზაციები - ინფორმაციული რესურსების მფლობელები;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები:

- საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საკონსტიტუციო სასამართლო, უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო;

საქართველოს მთავრობა: სამინისტროები, უწყებები, კომიტეტები; და სხვა.

გამოიყენება ინფორმაციული რესურსების ფორმირების და გამოყენების სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. ინფორმაციული რესურსების მფლობელები შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი ინფორმაციული ცენტრები, საინფორმაციო ორგანიზაციები, ფორმები, საწარმოები, დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, ასევე ცალკეული საინფორმაციო სტრუქტურები (სამმართველოები, განყოფილებები, ლაბორატორიები და სხვა) სხვა იურიდიული პირის შემადგენლობაში, აგრეთვე ფიზიკური პირები.

ინფორმაციული რესურსებიდან ინფორმაცია ვრცელდება ინფორმაციული პროდუქტის მომზადების და ინფორმაციული მომსახურების შედეგად.

საქართველოს კანონმდებლობაში "მონაწილეობა ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლაში" გამნარტებულია ეს ტერმინები: *ინფორმაციული პროდუქტი* - დოკუმენტირებული ინფორმაცია, რომელიც მომზადებულია მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად მომხმარებლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხოლო *ინფორმაციული მომსახურება* - სუბიექტების (მესაკუთრეები და მფლობელები) მოქმედება მომხმარებლების ინფორმაციული პროდუქციით უზრუნველსაყოფად (მუხლი).

ინფორმაციული მასივების ფორმირების და ინფორმაციის გავრცელების წესების მიხედვით ინფორმაციული რესურსები შეიძლება დაიყოს ორ დიდ კლასად - სტაციონალური და მობილური.

სტაციონალური ინფორმაციული რესურსები, როგორც წესი იქმნება და გამოიყენება სპეციალიზირებულ საინფორმაციო ორგანიზაციებში მათი ინფორმაციული სისტემებისა და ქსელების, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით. ასეთი ინფორმაციული რესურსებიდან ინფორმაციის გავრცელების მექანიზმი რეალიზებულია ინფორმაციული მომსახურების გაწევით, ანუ მათთან მომხმარებლების მიმართვისას ამ ორგანიზაციის ინფორმაციულ სისტემებში ინფორმაციის ძებნით. ამასთან, ძებნა შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ მომხმარებლის მიერ თუკი მას ასეთი შესაძლებლობა ეძლევა შესაბამისი საინფორმაციო სისტემით, ასევე შუამავლის საშუალებით. მომხმარებელმა უნდა იცოდეს საინფორმაციო ორგანიზაციის ადგილმდებარეობა და მისი რესურსებიდან ინფორმაციის მიღების პირობები. ეს ფუნქცია ამჟამად შედარებით ეფექტურად გამოიყენება ინტერნეტის დახმარებით. ასეთი მექანიზმი დამყარებულია მომხმარებლების მიზანსწრაფულ მიზიდვაზე ინფორმაციული რესურსების მფლობელებთან - მომხმარებელი მოძრაობს რესურსისაკენ.

მობილური ინფორმაციული რესურსები ფორმირდება სახელმწიფო და კომერციული ინფორმაციული ორგანიზაციებით როგორც სპეციალური ინფორმაციული პროდუქტი, ძირითადად მონაცემთა ბანკების სახით. ასეთი ინფორმაციული პროდუქტი ტირაჟირდება და ვრცელდება კომპლექსურად - მონაცემთა ბანკი შეიცავს მონაცემთა ბაზასაც და ძებნის აპარატსაც. ამ შემთხვევაში,

შეიძენს რა ასეთ ბანკს, მომხმარებელი იღებს საკუთარ კომპიუტერზე მის ინდივიდუალური სარგებლობით შესაძლებლობას. შესაბამისად "რესურსი" მოძრაობს მომხმარებლისაკენ.

ინფორმაციული რესურსები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა საფუძველის მიხედვით.

ინფორმაციული რესურსები ინფორმაციის სახის მიხედვით: სამართლებრივი ინფორმაცია; სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია; პოლიტიკური ინფორმაცია; ფინანსურ-ეკონომიკური ინფორმაცია; სტატისტიკური ინფორმაცია; მეტროლოგიური ინფორმაცია; სამედიცინო ინფორმაცია; პერსონალური ინფორმაცია და სხვა.

ინფორმაციული რესურსები მათთან დაშვების მიხედვით: ღია ინფორმაცია (შეუზღუდავი დაშვება); შეზღუდული დაშვების ინფორმაცია (სახელმწიფო საიდუმლო, კონფედენციალური ინფორმაცია, კომერციული საიდუმლოება, პროფესიონალური საიდუმლო, სამსახურებრივი საიდუმლო, პერსონალური მონაცემები, პირადი საიდუმლო).

ინფორმაციული რესურსები ინფორმაციის მატარებლების მიხედვით: ქალაქზე, მანქანურ მატარებლებზე, კომპიუტერის ეკრანზე გამოსახულების სახით, კომპიუტერის მეხსიერებაში, კავშირის არხში, სხვა სახის მატარებლებზე.

ინფორმაციული რესურსები ინფორმაციის ფორმირებისა და გავრცელების მიხედვით: სტაციონალური და მობილური.

ინფორმაციული რესურსები შენახვის ორგანიზაციისა და გამოყენების მიხედვით:

ტრადიციული ფორმები: დოკუმენტების მასივი, დოკუმენტების ფონდი, არქივები.

ავტომატიზირებული ფორმები: ინტერნეტი, მონაცემთა ბანკები, ცოდნის ბაზები, ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემები (ქსელები).

ინფორმაციული რესურსები საკუთრების ფორმების მიხედვით: სახელმწიფო საკუთრება, მუნიციპალური საკუთრება, კერძო საკუთრება, კოლექტიური საკუთრება.

ინფორმაციული პროდუქტი და ინფორმაციული მომსახურებაც ასევე იყოფიან სახეებად.

ინფორმაციული პროდუქტი: დოკუმენტები, მონაცემები; ნაკრები დოკუმენტები, მონაცემები; ცნობები, ანალიტიკური ცნობები; მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკი; სხვა ინფორმაციული პროდუქტები.

ინფორმაციული მომსახურება:

ინფორმაციული მომსახურების სამსახურები: ინფორმაციის ძებნა, ინფორმაციის დამუშავება, მონაცემების გაცემა, ინფორმაციის შენახვა.

ინტერნეტის ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემების, მონაცემთა ბანკის და მათი ქსელების გამოყენების მომსახურება:

საკონსულტაციო მომსახურება, ინფორმაციის გადაცემის მომსახურება, ინტერნეტთან შეღწევის მომსახურება, ელექტრონული ფოსტის გამოყენების და პირადი საიტების ფორმირების მომსახურება.

ინფორმაციული პროდუქტები და მომსახურება მომხმარებელს მიეწოდება სხვადასხვა საფუძველზე: კანონის საფუძველზე; ხელშეკრულების საფუძველზე; მოთხოვნის საფუძველზე; სხვა საფუძველებით. მომხმარებელი ინფორმაციულ პროდუქტს და მომსახურებას იღებს ან თვითმომსახურების სახით, ან შუამავლის საშუალებით. ინფორმაცია შეიძლება მიიღოს უფასოდ ან გარკვეული საფასურით.

ინფორმაციული რესურსების ფორმირებისას, მომზადებისა და მომხმარებლისათვის მიწოდებისას განსაკუთრებით ინტერნეტით სარგებლობისას აუსილებელია მათი დაცვა არასანქცირებული ჩარევისაგან.

დაცული უნდა იყოს: ინფორმაციული რესურსები ყველა სახის მატარებლებზე, განსაკუთრებით შეზღუდული დაშვების ინფორმაცია (მაგ. ელექტრონული ციფრული ხელმოწერა); ინფორმაციული სისტემები და მათი ქსელები; საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი უზრუნველყოფის საშუალებები.

ინფორმაციის დაცვის საშუალებებისა და მექანიზმების სტრუქტურა და შინაარსი ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენებისას განისაზღვრება კომპიუტერის და მათი ქსელების ახალი შესაძლებლობებით. აუსილებელია გადაწყდეს მატერიალურ მატარებელზე ნებისმიერი დოკუმენტირებული ინფორმაციის არასანქცირებული ჩარევისაგან დაცვის საკითხები. ინფორმაციის დაცვისათვის ინდა შეიქმნას და დაინერგოს დაცვის ტექნიკური, პროგრამული, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა მექანიზმები.

განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ინფორმაციის სრულ და დროულ ფორმირებას და აქტუალიზაციას. ძირითადი მიზანია - მომხმარებლისათვის, უპირველესად მოქალაქეებისათვის, ამ რესურსებიდან მაქსიმალურად სრული და ღია ინფორმაციის მიწოდება ინფორმაციის ძებნასა და მიღების კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის.

4.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების დამათისაშუალებების შექმნის და გამოყენების სფერო.

ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი საშუალებების შექმნის და გამოყენების სფეროს ობიექტებს მიეკუთვნებიან: ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი უზრუნველყოფის საშუალებები. საქართველოს კანონით "ინფორმაციის, ინფორმატიზაციის და ინფორმაციის დაცვის შესახებ" განსაზღვრულია ცნება "ინფორმაციული სისტემა" - ორგანიზაციულად მოწესრიგებული დოკუმენტების ერთობლიობა (დოკუმენტების მასივი) და საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირის საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციულ პროცესებს. მოცემულია აგრეთვე ტერმინის "ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემების და მათი ტექნოლოგიის" განმარტება. ესაა პროგრამული, ტექნიკური, ლინგვისტური, სამართლებრივი, ორგანიზაციული საშუალებები (კომპიუტერული პროგრამები, გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირის საშუალებები, ლექსიკონები, კლასიფიკატორები, ინსტრუქციები და მეთოდისკები, დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სქემები და მათი აღწერა, სხვა საექსპლოატაციო და თანმხლები დოკუმენტაცია), რომლებიც გამოიყენება ან იქმნება საინფორმაციო სისტემის დაპროექტებისას და უზრუნველყოფენ მათ ექსპლოატაციას.

ინფორმაციულ სისტემებს ეკუთვნიან სხვადასხვა სახის ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემები. პირველ რიგში ესაა ინტერნეტი, აგრეთვე ავტომატიზირებული მართვის სისტემები, მონაცემების დამუშავების ავტომატიზირებული სისტემები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ავტომატიზირებული სისტემები და სხვა მონაცემთა ბანკები, ცოდნის

ბაზები, ექსპერტული სისტემები, ინფორმაციული-გამოთვლითი სისტემები, ინფორმაციული სატელეკომუნიკაციო სისტემები და ქსელები, აგრეთვე ამ სისტემების და ტექნოლოგიების უზრუნველყოფის საშუალებები.

ძირითადი ტექნიკური საშუალებებია - გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები, გამრავლების და კოპირების საშუალებები, ორგანიზაციული ტექნიკა, კავშირის და ტელეკომუნიკაციის საშუალებები და სხვა. პროგრამული საშუალებები - ოპერაციული სისტემები, გამოყენებითი პროგრამები, ტელეკომუნიკაციის პროგრამული საშუალებები, სხვა პროგრამული საშუალებები. ლინგვისტური საშუალებები - ლექსიკონები, ორთოგრაფიული ცნობარები, კლასიფიკატორები. ორგანიზაციულ-სამართლებრივი საშუალებები - ნორმატიულ სამართლებრივი და სამართლებრივი აქტები, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები, დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები.

მოცემული სფეროს სუბიექტები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: სუბიექტები, რომლებიც ორგანიზაციას უწევენ და ახორციელებენ ინფორმაციული სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების დამუშავებას; სუბიექტები, რომლებიც მოიხმარენ ჩამოთვლილ ობიექტებს.

ინფორმაციული სისტემების დამამუშავებელი და მაკოორდინებელი სუბიექტების რანგში გამოდიან შემკვეთები და შემსრულებლები. ესენია სახელმწიფო მართვის ორგანოები, იურიდიული და ფიზიკური პირები - ორგანიზაციები და საწარმოები, სპეციალისტები.

ინფორმაციული სისტემის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მოხმარების სუბიექტებია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათო ქვეგანყოფილებები, იურიდიული და ფიზიკური პირები.

ამ სფეროში სუბიექტების საქმიანობის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის პროგრამულ-ტექნიკური ნაწილის ფორმირება და განვითარება. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ქვეშ იგულისხმება გამოთვლითი ტექნიკის, კავშირისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებები, აგრეთვე მასიური ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების ორგანიზაციული ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული პროცესების - ინფორმაციის წარმოების, მოპოვების, დაგროვების, შენახვის, მოძებნის, გავრცელებისა და მოხმარების ეფექტურ და ხარისხიან მართვას პიროვნებების, სახელმწიფოს, საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. **დღეისათვის, როგორც ხშირად იწოდება ესაა "ინტერნეტის ქართული ფრაგმენტი".**

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის პროგრამულ-ტექნიკურ ნაწილში ასახული უნდა იყოს გამოთვლითი ტექნიკის, კავშირისა და ტელეკომუნიკაციის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, აგრეთვე საქართველოში საინფორმაციო ქსელების შექმნისა და განვითარების ღონისძიებები საერთაშორისო ინფორმაციულ ქსელებსა და ინტენეტში გასვლით.

კერძოდ, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს თავისი პოზიცია შემდეგ ძირითად საკითხებზე: ქართული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების, კავშირისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებების წარმოების განვითარება და გამოყენება, მათი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო დონეზე; გამოთვლითი ტექნიკისა და ტექნოლოგიების უცხოეთიდან შემოტანა და დანერგვა სახელმწიფო ინტერესების დაცვის გათვალისწინებით; საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო დაბანდების, უცხოური ინვესტიციების ხარჯზე საინფორმაციო ქსელების შექმნა საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაში სახელმწიფო კონტროლის პირობებში. საქართველოს საინფორმაციო ქსელების ინტეგრაცია საზღვარსიქითა ქსელებში, პირველ რიგში ინტერნეტში.

4.6

ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებების დამექანიზმების შექმნისა და გამოყენების სფერო.

საქართველოს კანონის, "საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლაში მონაწილეობის შესახებ" შესაბამისად ინფორმაციული უსაფრთხოების ქვემ იგულისხმება საზოგადოების ინფორმაციული გარემოს დაცულობის მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფორმირებას, გამოყენებას და განვითარებას მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად. ინფორმაციული უსაფრთხოების საფრთხის თავიდან აცილება და ლიკვიდაცია ემყარება დაცვის მექანიზმების და საშუალებების დამუშავებას და რეალიზაციას. ეს შეიძლება იყოს ორგანიზაციული, ტექნიკური, პროგრამული, სოციალური, სამართლებრივი და სხვა მექანიზმები. ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები ეხება როგორც სუბიექტებს რომელთა ინტერესები და უფლებები ექვემდებარება დაცვას, ისე სუბიექტებს რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ დაცვას.

პრაქტიკულად ეს ყველა ის სუბიექტია, რომლებზეც იყო საუბარი ინფორმაციული სფეროს ფარგლებში: სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, იურიდიული და ფიზიკური პირები, ინფორმაციის მწარმოებლები და მომხმარებლები; სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, იურიდიული და ფიზიკური პირები რომლებიც ამუშავებენ და იყენებენ საინფორმაციო სისტემებს, ტექნოლოგიებს და მათი უზრუნველყოფის საშუალებებს; ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები, რომლებიც ქმნიან და აწოდებენ ინფორმაციულ რესურსებს; სახელმწიფო სტრუქტურები და თანამდებობის პირები რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

ინფორმაციის მოძებნის, მიღების და მოხმარების სფეროში დაცული უნდა იყოს: მომხმარებლების უფლებები ინფორმაციის მიღებასა და გამოყენებაზე; მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო საზიანო, საშიში, მცდარი ინფორმაციის ზემოქმედებისაგან.

ინფორმაციის შექმნის (წარმოების) სფეროში დაცვას ექვემდებარება პირველ რიგში: ინფორმაცია, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი; დოკუმენტირებული ინფორმაცია, როგორც ინტელექტუალური და ნივთობრივი საკუთრება.

ინფორმაციული რესურსების ფორმირების, მომზადების და მომხმარებლისათვის ინფორმაციული პროდუქტის და მომსახურების მიწოდების სფეროში არასანქცირებული ჩარევისაგან აუცილებელია დაიცვას: ინფორმაციული რესურსი ყველა სახის მატარებელზე, მათ შორის შრზლუდული მოხმარების ინფორმაციის შემცველი; ინფორმაციული სისტემები და მათი ქსელები; სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი უზრუნველყოფის საშუალებები.

ინფორმაციული სისტემების, ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნისა და გამოყენების სფეროში, მოთხოვნებიდან გამომდინარე უპირველესად ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში უნდა დამუშავდეს ტექნიკური, ორგანიზაციული და პროგრამული დაცვის ყველა საშუალებები. ამასთან პირველ რიგში დაცული უნდა იქნას: მანქანური მატარებლები ინფორმაციით, მაგალითად, ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საშუალებებით; მონაცემთა (ცოდნის) ბაზები ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების შემადგენლობაში; კომპიუტერების და მათო ქსელების პროგრამული საშუალებები.

ინფორმაციული უსაფრთხოება იმყოფება სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ, რასთან დაკავშირებითაც პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულია საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინა. იგი წარმოადგენს ოფიციალური შეხედულებების ერთობლიობას ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნებზე, ამოცანებზე, პრინციპებსა და უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებზე.

დოქტრინა ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში: სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების; ინფორმაციული უსაფრთხოების სრულყოფის სამართლებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, მეთოდური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის წინადადებების მომზადების; ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამების დამუშავების საფუძველია.

დოქტრინა, ინფორმაციულ სფეროსთან მიმართებაში, ავითარებს ნაციონალური უსაფრთხოების კონცეფციას.

თავი 5. ინფორმაციული კანონმდებლობა

5.1 ინფორმაციული კანონმდებლობის ცნება, სტრუქტურა და ზოგადი დახასიათება.

საინფორმაციო კანონმდებლობა არის სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს საინფორმაციო სფეროში. ასეთ ნორმებს ინფორმაციულ-სამართლებრივ ნორმებს უწოდებენ.

ინფორმაციული კანონმდებლობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. მისი შექმნისა და განვითარების ამოცანები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების საერთო ამოცანებს და დაფუძნებულია შემდეგზე: კანონპროექტების შემუშავება მიმდინარეობს აქტუალური და მუდმივად განახლებადი (არა ნაკლები ოთხ წელში ერთხელ) პროგრამით; მხედველობაში მიიღება საერთოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები; ინფორმაციული კანონმდებლობის ფარგლებში ხორციელდება უპირველესად კონსტიტუციის შესაბამისი

ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები; ინფორმაციული კანონმდებლობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში მიმდინარე რეფორმებს; დაცული იუნდა იყოს ინფორმაციული კანონმდებლობის მკაფიო სტრუქტურა და მთლიანობა; ტარდება ახალი საკანონმდებლო აქტების რაოდენობის მინიმიზაცია მათი ხარისხის ხარჯზე და მოქმედ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანით; ინფორმაციული კანონმდებლობის ხარვეზებისა და დუბლირებული ნორმების აღმოფხვრა მოქმედ კანონმდებლობაში; ინფორმაციულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების და მათი ფუნქციონირების მექანიზმების რეალიზაციის უზრუნველყოფის კანონქვემდებარე აქტების დროული შექმნა; ინფორმაციული კანონმდებლობის საჯაროობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სამართლის ნორმები შეიძლება იყოს პირდაპირი მოქმედების ან სისტემური წარმონაქმნი. ამ იკანასკნელის დანიშნულებაა შესაბამისი სახის ურთიერთობების კომპლექსური რეგულირების პირობების შექმნა კანონქვემდებარე აქტების საშუალებით.

ინფორმაციული ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი სისრულე ინფორმაციული კანონმდებლობის ჩარჩოებში მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციულ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა გადაფარავს ურთიერთობების მატრიცის მთელ სიმრავლეს ინფორმაციული სფეროს ყველა შესაძლო სუბიექტებსა და ობიექტებთან მიმართებაში. ხოლო, რადგანაც ინფორმაცია აღწევს მოქალაქის, სპეციალისტის, ხელმძღვანელის, იურიდიული პირის, სახელმწიფოს საქმიანობის ყველა სფეროსა და მიმართულებაში, ამიტომ ინფორმაციული კანონმდებლობის შემადგენელი ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმებიც აისახება საქართველოს მთელ კანონმდებლობაში, როგორც ვერტიკალურად (ნორმატიულ სამართლებრივი აქტების სახეების მიხედვით), ასევე ჰორიზონტალურად (კანონმდებლობის დარგების მიხედვით).

ინფორმაციული კანონმდებლობის "ვერტიკალური" სტრუქტურა, ისე, როგორც საქართველოს მთელი კანონმდებლობა იგება "კანონის უზენაესობის" პრინციპიდან გამომდინარე: იერარქიულად მაღლა მდგომი აქტების ნორმებს აქვთ უფრო მეტი იურიდიული ძალა და გამნსაზღვრავენ ყველა ქვემდებარე აქტების შესაბამის ნორმებს. საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების იერარქია ასე შეიძლება წარმონადგინოთ:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს სუბიექტების კონსტიტუციური კანონები;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები;
- საქართველოს სუბიექტების საკანონმდებლო აქტები;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები;
- საქართველოს სუბიექტების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ნორმატიული სამართლებრივი აქტები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტები.

აქტების იერარქიის არსებობა განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკაში სამართლებრივი ნორმების რეალიზაცია მოითხოვს პრეზიდენტის, მთავრობის, საქართველოს შემადგენელი სუბიექტების აქტების, სხვა იერარქიულად ქვემდგომი სუბიექტების ნორმატიული აქტების

მიღებას. აქტების სისტემა ივსება ადგილობრივი თვითმართველობის აქტებით, რომლებიც ასრულებენ ზემდგომი აქტების მითითებებს კონკრეტულ პირობებში.

რაც შეეხება ინფორმაციულ კანონმდებლობას, აქ არის თავისებურება, რომელიც განაპირობებს ზემოთ ჩამოთვლილი იერარქიის დამატებითი სამართლებრივი აქტების მიღების აუცილებლობას. ინფორმაციულ კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არის მრავალი დაურეგულირებელი სამართლებრივი ურთიერთობები ანუ ხარვეზები. რადგანაც ან ხარვეზების აღმომფხვრელი კანონების შექმნა მოითხოვს მნიშვნელოვან დროს, ამიტომ აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა სუბიექტების აღმასრულებელი ორგანოები, აუცილებელი კანონების მიღებამდე, არც თუ ისე იშვიათად იღებენ შესაბამისი ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს.

ასე მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სამართლებრივი ინფორმაციზაციის საკითხებზე მიღებულია მთელი რიგი აქტები, რომლებიც ადგენენ მუშაობის პროგრამას ამ სფეროში და ეხება ურთიერთობებს, რომლებიც უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით "სამართლებრივი ინფორმაციის შესახებ", რომლის პროერქტიც დამუშავების ეტაპზეა.

ინფორმაციული კანონმდებლობის "ჰორიზონტალური" სტრუქტურა თავის თავში მოიცავს არა მარტო ნორმებს, რომლებიც შედიან ინფორმაციისა და ინფორმაციზაციის პრობლემების სპეციალური ნორმატიული აქტების ბლოკში, არამედ საქართველოს კანონმდებლობის სხვა დარგების ნორმებშიც. საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზი და საქართველოში ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ინფორმაციული კანონმდებლობა - კომპლექსური დარგია, რომელიც მოიცავს, როგორც ინფორმაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ კანონმდებლობის ზოგიერთ დარგს მთლიანად და სპეციალურ ნორმატიულ აქტებს, ისე კანონმდებლობის სხვა დარგების აქტებში ცალკეულ ინფორმაციულ-სამართლებრივ ნორმებს. ინფორმაციული კანონმდებლობის სტრუქტურა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ინფორმაციული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმები;
- საქართველოს კონსტიტუციის ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები;
- კანონმდებლობის დარგები, რომელთა აქტები მთლიანად ეძღვნება ინფორმაციული კანონმდებლობის საკითხებს;
- კანონმდებლობის დარგები, რომელთა აქტები შეიცავენ ცალკეულ ინფორმაციულ-სამართლებრივ ნორმებს;

უფრო დაწვრილებით, ინფორმაციული კანონმდებლობის სტრუქტურა, როგორც შემადგენელი დარგების ერთობლიობა, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

- საქართველოს კონსტიტუცია (კონსტიტუციის ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები);
- კანონმდებლობის დარგები, რომელთა აქტები მთლიანად ეძღვნება ინფორმაციული კანონმდებლობის საკითხებს;

კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ;

კანონმდებლობა მასიური ინფორმაციის საშუალებების და მას-მედიის შესახებ;

კანონმდებლობა ინფორმაციული რესურსების ფორმირების და მომხმარებლისათვის მათი მიწოდების შესახებ;

კანონმდებლობა ინფორმაციის ძებნის, მიღების, გადაცემის და გამოყენების უფლებების რეალიზაციის შესახებ;

კანონმდებლობა ინფორმაციული სისტემების, მათი ქსელების, სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებების შექმნის და გამოყენების შესახებ;

- კანონმდებლობის დარგები, რომელთა აქტები შეიცავენ ცალკეულ ინფორმაციულ-სამართლებრივ ნორმებს:

კონსტიტუციური და ადმინისტრაციული კანონმდებლობა (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციების განსაზღვრა სახელმწიფო ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ნაწილში);

სამოქალაქო კანონმდებლობა (ინფორმაციის თავისებურებების, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტის აღრიცხვის ნაწილში);

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობა (ინფორმაციულ სფეროში სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობის ნაწილში);

შრომის კანონმდებლობა (საინფორმაციო ქსელებში შრომითი საქმიანობისა ახალი ფორმებისა და სახეების ნაწილში);

კანონმდებლობა საწარმოებსა და სამეწარმეო საქმიანობის და კეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ (ქსელებში მუშაობისას ახალი შესაძლებლობების წარმოშობასთან დაკავშირებით).

განვიხილოთ ინფორმაციული კანონმდებლობის შემადგენლობა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საქართველოს კონსტიტუციის ინფორმაციულ სამართლებრივი ნორმები;
2. საკანონმდებლო დარგები, რომელთა აქტები მთლიანად ეძღვნება ინფორმაციული კანონმდებლობის საკითხებს;
3. საკანონმდებლო დარგები, რომელთა აქტები შეიცავენ ცალკეულ ინფორმაციულ სამართლებრივ ნორმებს.

5.2 საქართველოს კონსტიტუციის ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები

ინფორმაციაზე უფლებების ძირითადი მოცულობა შედის საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ ნორმაში: “ყველას აქვს უფლება თავისუფლად მოძებნოს, მიიღოს, გადასცეს, აწარმოოს და გაავრცელოს ინფორმაცია ნებისმიერი კანონიერი გზით . . .” .

ინფორმაციის თავისუფლად ძებნის და მიღების უფლება ნიშნავს ყველას უფლებას მიმართოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ორგანოებს

და ორგანიზაციებს, კერძო ფირმებს, სხვა სტრუქტურებს საკითხებზე, რომლებიც ეხება ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს და გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებას მათგან.

ინფორმაციის გადაცემის უფლება ნიშნავს ინფორმაციის თითოეულის-თითოეულთან გაცვლის უფლებას.

ინფორმაციის წარმოების და გავრცელების უფლება ნიშნავს თითოეულის თავისუფლებას შემოქმედებასა და ინტელექტუალურ საქმიანობაზე, რომელიც ქმნის ახალს ან აწარმოებს ინფორმაციას, აგრეთვე ნაწარმოები ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას კანონიერი გზით.

ეს უფლებები შეიძლება შეზღუდული იყოს მხოლოდ კანონით.

სახელმწიფო ორგანოებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების უფლება ასევე დაკანონებულია საქართველოს კონსტიტუციით: "საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ პირადად, აგრეთვე მიმართონ ინდივიდუალურად და კოლექტიურად სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს".

სახელმწიფო ორგანოებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღების უფლება აკისრებს ამ სტრუქტურებს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებისა და გაცემის მოვალეობას, რაც დაკანონებულია **ნორმაში ნაწ.2, გვ. 24**: "სახელმწიფო მართველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათი თანამდებობის პირები ვალდებულია უზრუნველყოს თვითოეულის შესაძლებლობა გაეცნოს დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც უშუალოდ ეხება მათ უფლებებსა და თავისუფლებებს, თუ სხვა რამ არაა გათვალისწინებული კანონით".

შემოქმედების და ინტელექტუალური საქმიანობის თავისუფლება, შემოქმედებითი საქმიანობით მიღებული ინტელექტუალური საკუთრების უფლება ასევე დაკანონებულია კონსტიტუციის შემდეგ ნორმებში: "თითოეულს გარანტირებული აქვს აზრისა და სიტყვის თავისუფლება" (**ნაწ.1 გვ. 29**); "თითოეულს გარანტირებული აქვს ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული, ტექნიკური და სხვა სახის შემოქმედების უფლება, სწავლება. ინტელექტუალური საკუთრება დაცულია კანონით" (ნაწ. 1, გვ. 44); თვითოეულს აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის და კულტურული დაწესებულებებით სარგებლობის უფლება, კულტურულ ფასეულობებთან დაშვების უფლება" (**ნაწ. 2, გვ 44**).

გაცხადებულია მასიური ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების უფლების გარანტია: "გარანტირებულია მასიური ინფორმაციის თავისუფლება. აკრძალულია ცენზურა" (**ნაწ.5 გვ. 29**).

უფლება ინფორმაციაზე შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს კანონით იმ ზომით, რა ზომითაც ეს აუცილებელია კონსტიტუციური მოწყობის, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირების უფლებების და კანონიერი ინტერესების, ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საკითხებზე: ". . . ცნობების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, განისაზღვრება საქართველოს კანონით" (**ნაწ. 4, გვ 29**).

დადგენილია პირადი საიდუმლოს უფლება, პირის ან პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა: "თითოეულს აქვს პირადი ცხოვრების, პირადი და ოჯახური საიდუმლოს, თავისი პატივის და კეთილდღეობის ხელშეუხებლობის უფლება" (ნაწ. 1, გვ 23). "თითოეულს აქვს მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინებების საიდუმლოების უფლება . . . (ნაწ. 2, გვ 23).

ამასთან, პირდაპირ ეკრძალება, ვინც არ უნდა იყოს, მოქალაქის თანხმობის გარეშე მასზე ინფორმაციის შეგროვება: " პირის თანხმობის გარეშე დაუშვებელია პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება და გავრცელება" (ნაწ. 1, გვ 23).

საქართველოს კონსტიტუცია აგრეთვე კრძალავს სხვა ინფორმაციის მიღებას ნებისმიერი მოქალაქისაგან მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე ან მისი დარწმუნება უარყოს ადრე მიწოდებული ინფორმაცია: " არავინ არ შეიძლება იყოს იძულებული თავისი შეხედულებებისა და მრწამსის ან მასზე უარის გამოხატვისგან" (ნაწ. 3, გვ 29).

განსაკუთრებული ყურადღება კონსტიტუციაში ეთმობა ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობას: "თითოეულს აქვს ხელსაყრელი გარემო პირობების, მისი მდგომარეობის შესახებ სანდო ინფორმაციის, და ეკოლოგიური სამართალდარღვევით მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლება" (სტ, 42). ეს ნორმა ამყარებს თითოეულის უფლებას მიიღოს ინფორმაცია გარემო პირობების შესახებ ნებისმიერი სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისაგან, აგრეთვე ადგენს ამ სტრუქტურების მიერ ასეთი ინფორმაციის მომთხოვნელისათვის მიწოდების ვალდებულებას. პირდაპირაა გათვალისწინებული ასეთი ინფორმაციის დაფარვისათვის პასუხისმგებლობა: "თანამდებობის პირების მიერ იმ ფაქტებისა და გარემოებების დაფარვა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ცხოვრებასა და ჯანმრთელობას ისჯება კანონის თანახმად" (ნაწ. 3, გვ 41).

საქართველოს კონსტიტუცია უკრძალავს საზოგადოებასა და თითოეულ მოქალაქეს საზიანო, სახიფათო ინფორმაციის გავრცელებას: "დაუშვებელია სოციალური, რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური შურისა და მტრობის გამომწვევი პროპაგანდა ან აგიტაცია". აკრძალულია სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური ან ენობრივი უპირატესობების აგიტაცია" (ნაწ. 2, გვ 29).

სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების შემცველი ნებისმიერი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტები თანისუფლად იქნება გავრცელებული და თითოეულს მიეცემა მათი მოძებნის და მიღების უფლება. ასეთი პირობები რეალიზებულია კომსტიტუციის ნაწ.3 სტ.15 ნორმაში ". . . ნებისმიერი ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ადამიანის და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებს და ვალდებულებებს არ შეიძლება გამოყენებული იქნას მის გამოქვეყნებამდე საყოველთაო გაცნობისათვის".

განხილული ძირითადი ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები მიეკუთვნებიან ადამიანის და მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის სტ. 2

ნათქვამია:”ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობას. ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება, შესრულება და დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა”.

აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფომ, მისი სახელმწიფო ორგანოების სახით უნდა ჩამოაყალიბოს და გაატაროს ისეთი ინფორმაციული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია თანამედროვე ინფორმაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, აგრეთვე ინფორმაციული კანონმდებლობის, როგორც ინფორმაციული საზოგადოების სამართლებრივი ბაზის სრულყოფისა და განვითარებისათვის, ინფორმაციულ-სამართლებრივი კულტურის, სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის ამაღლებაზე. უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები.

პრაქტიკული დავალებები

მოძებნეთ და გამოხატეთ ანგააკეთეთ პრეზენტაცია შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- 1 კანონმდებლობა ინტელექტუალ საკუთრების შესახებ
- 2 კანონმდებლობა საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების შესახებ
- 3 საპატენტო კანონმდებლობა
- 4 კანონმდებლობა ნოუ-ჰაუზე

მოძებნეთ საკანონმდებლო აქტები ინფორმაციული მომსახურების შესახებ:

- 1 კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზის სამართლებრივი დაცვა
- 2 კანონმდებლობა სამართლებრივი ინფორმაციის შესახებ
- 3 კანონმდებლობა პირადი ინფორმაციის შესახებ
- 4 კანონმდებლობა ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტის მომზადების, ინფორმაციული მომსახურების გაწევის შესახებ
- 5 კანონმდებლობა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ
- 5 ექსპერტიზის სამსახურებისა და ექსპერტიზის სახეების შესახებ.

მოძებნეთ:

- 1 საქართველოს კონსტიტუციის ინფორმაციულ სამართლებრივი ნორმები;
- 2 საკანონმდებლო დარგები, რომელთა აქტები მთლიანად ეძღვნება ინფორმაციული კანონმდებლობის საკითხებს;
- 3 საკანონმდებლო დარგები, რომელთა აქტები შეიცავენ ცალკეულ ინფორმაციულ სამართლებრივ ნორმებს.

მოსაზრება: სასურველია შეიქმნას ინფორმაციულ სამართლებრივი პორტალი - ავტომატიზირებული სამართლებრივ-საცნობარო სისტემა, საიდანაც ხელმისაწვდომი გახდება ყველა საჯარო ინფორმაცია.

შინაარსი

თავი 1. სამართლებრივი ინფორმაცია და სამართლებრივი ინფორმატიკა	2
1.1 სამართლებრივი ინფორმატიკის საგანი და ამოცანები	2
1.2 ინფორმაცია, ინფორმაციული საზოგადოება, ინფორმაციის კლასიფიკაცია.	6
1.3 სამართლებრივი ინფორმაცია და მისი კლასიფიკაცია.	10
თავი 2. ინფორმატიკის პროგრამული საშუალებები	17
2.1 სამართლებრივი ინფორმატიზაცია	17
2.2 სამართლებრივის აცნობარო ავტომატიზირებული სისტემები	18
2.3 სამართლებრივი ინფორმაციის უცხოურის აძიებოს სისტემები.	19
2.4 ქართული სამართლებრივის აცნობაროს სისტემების განვითარება	21
პრაქტიკული დავალებები	25
2.5 რუსული სამართლებრივის აცნობაროს სისტემები	26
თავი 3. გამოძიების კომპიუტერიზაცია	30
3.1 სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების კომპიუტერიზაცია	30
3.2. იურისტის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი	36
3.3 კომპიუტერის გამოყენებას სამართლო ექსპერტიზაში	37
3.4 დაქტილოს კოპირი ექსპერტიზა	38
3.5 ფონოსკოპირი ექსპერტიზა	40
3.6 ვიდეოთვალთვალის კომპიუტერული სისტემები	43
თავი 4. ინფორმაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების სფერო.	46
4.1. ინფორმაციული სფეროს ცნება, შემადგენლობა და შინაარსი	46
4.2 ინფორმაციის ძებნის, მიღების ადამიანების სფერო	48
4.3 საწყისი და წარმოებული ინფორმაციის შექმნის ადაგავრცელების სფერო	49
4.4 ინფორმაციული რესურსების ფორმირების, ინფორმაციული პროდუქტების მომზადების, ინფორმაციული მომსახურების სფერო	50
4.5 ინფორმაციული ტექნოლოგიების დამათი საშუალებების შექმნის ადაგამოყენების სფერო.	53
4.6 ინფორმაციული უსაფრთხოების საშუალებების ადამექანიზმების შექმნის ადაგამოყენების სფერო.	55
თავი 5. ინფორმაციული კანონმდებლობა	56
5.1 ინფორმაციული კანონმდებლობის ცნება, სტრუქტურა და ზოგადი დახასიათება.	56
5.2 საქართველოს კონსტიტუციის ინფორმაციულ-სამართლებრივი ნორმები	59
პრაქტიკული დავალებები	63